

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მიხეილ შენგელია

ღია მმართველობის ვალდებულებების
შესრულება, როგორც ელ-მმართველობის განვითარების
ინდექსის ზრდის პირობა: საქართველოს მაგალითი
პოლიტიკის მეცნიერებები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერებების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი მელიქიძე
თანახელმძღვანელი : დოქტორანტი ვლადიმერ ნეფატვერიძე

თბილისი

2018

Contents

ანოტაცია	3
თავი 1. კვლევის დიზაინი.....	4
1.1 საკითხის აქტუალობა	4
1.2 ნაშრომის მიზანი და ამოცანა	7
1.3 საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა.....	7
1.4 თეორიული ჩარჩო.....	12
1.5 კვლევის მეთოდოლოგია	14
თავი 2.....	17
2. ლიტერატურის მიმოხილვა.....	17
თავი 3.....	24
3.1 მოლდავური გამოცდილება	24
3.2 საქართველოს გამოცდილება	45
3.3 ქართული და მოლდავური გამოცდილების შედარებითი ანალიზი.....	52
3.4 სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი:	55
დასკვნა	59
გამოყენებული ლიტერატურა:.....	60

ანოტაცია

ნაშრომი ეხება ღია მმართველობის პარტნიორობას და მისი ვალდებულებების შესრულების გავლენას გაეროს ელ-მმართველობის განვითარების და ელ-ჩართულობის ინდექსებზე. ნაშრომის საკვლევ კითხვები არის შემდეგი:

1– საკვლევ კითხვა– როგორია საქართველოს რეიტინგის დინამიკა ბოლო ნაწილის განმავლობაში?

2– საკვლევ კითხვა: როგორია OGP-ის შესრულებული ვალდებულებების ანგარიში?

3– საკვლევ კითხვა– როგორ გავლენას ახდენს OGP-ის ვალდებულებების შესრულება საქართველოს რეიტინგზე გაეროში?

ხოლო ჰიპოთეზა ასე ჩამოყალიბდა: საქართველოს რეიტინგი ელ-მმართველობის გლობალურ რეიტინგში იცვლება ღია მმართველობის პარტნიორობის ვალდებულებების შესრულების მიხედვით.

ნაშრომის მიზანია იმ პრობლემების ანალიზი რამაც გამოიწვია ელ-მმართველობის განვითარების ინდექსის შემცირება. ხოლო ამოცანა რეკომენდაციების შემუშავება, რომ აღმოფხვრილ იქნას პრობლემები და საქართველოს ისევ დაიკავოს მოწინავე პოზიცია რეიტინგში. ნაშრომი შედგება 3 თავისგან, პირველ თავში საუბარია კვლევის დიზაინზე, მეორეში კი ლიტერატურის მიმოხილვაზე, მესამე ნაწილი კვლევით ნაწილს ეთმობა. ნაშრომში ჰიპოთეზა ნაწილობრივ დამტკიცდა.

თავი 1. კვლევის დიზაინი

1.1 საკითხის აქტუალურობა

ელ-მმართველობა შედარებით ახალგაზრდა დარგია, რომელიც, როგორც კონცეფცია, ადრეულ 1990-იან წლებში გაჩნდა. ის ხასიათდება ისეთი შესაძლებლობებით, რომელიც მოქალაქეებისთვის საჯარო მომსახურების მიწოდებას უწყობს ხელს (Soonhee kim and donghwan kim. (2003) South Korean public officials perceptions of values, failure, and consequences of failure in e-government leadership. p.360).

„ელექტრონული მმართველობა მსოფლიო საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ის 21-ე საუკუნის ინფორმაციული საზოგადოების შემადგენელი ნაწილია. დღესდღეობით არსებობს ელექტრონული მმართველობის რამდენიმე დეფინიცია: ციფრული მმართველობა, ონლაინ მმართველობა, ინტერნეტ მმართველობა და სხვა. რა ტერმინითაც არ უნდა აღვნიშნოთ სახელმწიფო მმართველობის ეს ახალი და ნოვატორული საშუალება, ფაქტია, გლობალური მასშტაბით, ის აქტიურად იმკვიდრებს ადგილს, როგორც სახელმწიფო ადმინისტრირების მნიშვნელოვანი მექანიზმი“ (ავალიშვილი, 2010, გვ. 7).

განვიხილოთ ელ-მმართველობის ორი დეფინიცია: (1) ელ-მმართველობა ეხმარება მთავრობას გამოიყენოს ტექნოლოგიები და ვებ-აპლიკაციები, რათა გაუმარტივოს წვდომა სახელმწიფო სერვისებზე და ინფორმაციაზე, მოქალაქეებს, ბიზნესმენებს, საჯარო მოსამსახურეებს, სხვადასხვა სააგენტოებს და სახელმწიფო სტრუქტურებს. მას აქვს ასევე პოტენციალი გააუმჯობესოს ურთიერთობა მთავრობასა და საზოგადოებას შორის, გახადოს მათ შორის კომუნიკაცია უფრო მარტივი და უფრო ეფექტური (karen layne. Jungwoo lee. (2001) Developing Fully functional E-government: A four satge model. p. 123).

(2) „იუნესკოს განსაზღვრებით ელექტრონული მმართველობა გულისხმობს საჯარო სექტორის მხრიდან ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მომსახურებისა და ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესებისთვის, გადაწყვეტილებების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდასაჭერად, ასევე ხელისუფლების უფრო ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ელ-მმართველობა ხელს უწყობს დებატების, ლიდერების, პოლიტიკის და ინვესტიციების, აგრეთვე განათლებაზე ხელმისაწვდომობის, მოქალაქეთა აზრების გაზიარების, ინფორმაციის მიწოდებისა და სერვისების ახალი ფორმების დანერგვას. ელექტრონული მმართველობის კონცეფცია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ელექტრონული მთავრობა, ვინაიდან მას შეუძლია შეიტანოს ცვლილებები მოქალაქეებისა და ხელისუფლების ურთიერთკავშირში და ურთიერთქმედებაში. ელ-მმართველობას შეუძლია დაამკვიდროს უფლებებისა და ვალდებულებების მხრივ მოქალაქეობის ცნების ახალი მოდელი. მისი მიზანია ჩართოს მოქალაქე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, აღჭურვოს იგი რეალური ძალაუფლებით, გაზარდოს მისი, როგორც საზოგადოებრივ პროცესში მონაწილის შესაძლებლობები.“ (ლევან ავალიშვილი (2010) ელ-მმართველობა და ელ-გამჭირვალობა-საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო. გვ.7)

„აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მმართველობის პრაქტიკული დანერგვა და განვითარება ოთხი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

- ელ-მმართველობა მოქალაქეებისთვის G2C (Government-to-Citizen)
 - ელ-მმართველობა ბიზნესისთვის G2B(Government-to-Business)
 - ელ-მმართველობა სახელმწიფო ორგანოებისთვის G2G(Government-to-Government)
 - ელ-მმართველობა საჯარო მოხელეებისთვის G2E (Government-to-Employess)
- (ავალიშვილი. 2010,გვ.7).

როგორც ვხედავთ, ელ-მმართველობა მნიშვნელოვანი დარგია, მის განვითარებაზე დამოკიდებულია მრავალი სახელმწიფო სერვისის მიწოდება მოქალაქეებისთვის სწრაფად და მარტივად.

საინტერესოა ელ-მმართველობის განვითარების ისტორია საქართველოშიც. „2010 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის ქვეშ, შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“. სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს.“ (ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი. <http://e.gov.ge/guide/#p=1> ბოლო ნახვა 02/09/2018, 10:08, გვ 9) მას შემდეგ კი საქართველო პროგრესს განიცდიდა გაეროს რეიტინგებში, რომელიც ელ-მმართველობის განვითარებას ეხებოდა სახელმწიფოებში. მაგალითად „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის“ 2014 წლის კვლევების მიხედვით, საქართველომ ელ-მმართველობის განვითარების ინდექსი 16 ერთეულით გაიუმჯობესა და 193 ქვეყანას შორის 72-ე ადგილიდან 56-ე ადგილზე გადაინაცვლა. ელექტრონული მმართველობის განვითარების საერთო დონის შეფასებისას, საქართველო 2010 წლის მონაცემებთან შედარებით, 2012 წელს 28 საფეხურით დაწინაურდა და 190 ქვეყანას შორის მე-100 საფეხურიდან 72-ე ადგილზე გადაინაცვლა, 2014 წელს კი 56-ე ადგილი დაიკავა“ (ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი, 2014, გვ. 10).

განსხვავებული სიტუაცია დაფიქსირდა ახალ 2016 წლის გაეროს ელ-მმართველობის კვლევაში: „2016 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს ელ-მმართველობის მაჩვენებელი 0.61-ია, რითაც 193 ქვეყანას შორის 61-ე ადგილი უკავია.“ (თეონა ტურაშვილი, საქართველო გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევაში შედეგების მიმოხილვა და რეკომენდაციები. <https://idfi.ge/ge/georgia-in-the-un-e-governance-research-review-of-findings-and-recommendations>)

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან თუ ფაქტებიდან გავიგეთ. ელ-მმართველობა მნიშვნელოვანი დარგია და მის გარეშე 21-ე საუკუნის საჯარო მმართველობა წარმოუდგენელია, ის ეხმარება მთავრობას უფრო მარტივად და ეფექტურად მიაწოდოს მოსახლეობას ინფორმაცია თუ მომსახურება, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ საკითხის უკეთ შესწავლა და კვლევა, ასევე როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველო 2010 წლიდან მოყოლებული, მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამდა ელ-მმართველობის განვითარებისთვის და წარმატებასაც აღწევდა საერთაშორისო არენაზე.

1.2 ნაშრომის მიზანი და ამოცანა

ნაშრომის მიზანია იმ პრობლემების ანალიზი, რამაც გამოიწვია ელ-მმართველობის განვითარების ინდექსის შემცირება, გაეროს ელ-მმართველობის რეიტინგში საქართველოს პოზიციის 56-ე ადგილიდან 61-ეზე, ხოლო ელ-ჩართულობის რეიტინგში 49-ე დან 76-ე ადგილზე გადანაცვლება (თეონა ტურაშვილი, საქართველო გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევაში შედეგების მიმოხილვა და რეკომენდაციები. <https://idfi.ge/ge/georgia-in-the-un-e-governance-research-review-of-findings-and-recommendations>). ასევე დადასტურდეს ან უარყოფილ იქნას ჰიპოთეზა - საქართველოს რეიტინგი ელ-მმართველობის გლობალურ რეიტინგში იცვლება ღია მმართველობის პარტნიორობის ვალდებულებების შესრულების მიხედვით. ხოლო ნაშრომის ამოცანაა რეკომენდაციების შემუშავება, იმისთვის, რომ აღმოფხვრილ იქნას პრობლემები და საქართველომ ისევ დაიკავოს მოწინავე პოზიცია რეიტინგში.

1.3 საკვლევო კითხვა და ჰიპოთეზა

საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს ელექტრონული მმართველობის განვითარების და ელექტრონული ჩართულობის ინდექსებში, შემდეგი სიტუაციაა: ელექტრონული მმართველობის განვითარების კომპონენტებიდან ოდნავ გაუმჯობესდა ელექტრონული სერვისების კომპონენტი, რაც შეეხება ელექტრონული ჩართულობის კომპონენტებს, ის თავის მხრივ სამ ქვეკომპონენტს გულისხმობს: ელ-ინფორმაცია, ელ-კონსულტაცია და ელ-გადაწყვეტილების მიღება ([თეონა ტურაშვილი, საქართველო გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევაში შედეგების მიმოხილვა და რეკომენდაციები. https://idfi.ge/ge/georgia-in-the-un-e-governance-research-review-of-findings-and-recommendations](https://idfi.ge/ge/georgia-in-the-un-e-governance-research-review-of-findings-and-recommendations)), „ აღნიშნული სამი კომპონენტიდან საქართველომ მხოლოდ ელ-კონსულტაციის ქულა გააუმჯობესა. ელ-გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმში ქვეყანამ 0% აიღო, რაც მოქალაქეთა ჩართულობაზე ორიენტირებული პლატფორმების არარსებობაზე მიანიშნებს. ასევე თუ აქამდე ყველაზე პროგრესირებადი შედეგი ქვეყანას საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ხელმისაწვდომობის კუთხით ჰქონდა, 2016 წელს ამ მიმართულებით რეგრესი დაფიქსირდა“ (თეონა ტურაშვილი, საქართველო გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევაში შედეგების მიმოხილვა და რეკომენდაციები

[https://idfi.ge/ge/georgia-in-the-un-e-governance-research-review-of-findings-and-](https://idfi.ge/ge/georgia-in-the-un-e-governance-research-review-of-findings-and-recommendations)

[recommendations](https://idfi.ge/ge/georgia-in-the-un-e-governance-research-review-of-findings-and-recommendations)). აქედან გამომდინარე, გაჩნდა შეკითხვა, განსაკუთრებით ელ-ჩართულობის კომპონენტებში ასეთი შედეგები ხომ არ იყო გამოწვეული ღია მმართველობის პარტნიორობის ვალდებულებების შეუსრულებლობით და გამოიკვეთა ქვემოთ მოცემული საკვლევ კითხვები და ჰიპოთეზა:

ნაშრომის საკვლევ კითხვები შემდეგია:

1-საკვლევ კითხვა– როგორია საქართველოს რეიტინგის დინამიკა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში?

2- საკვლევ კითხვა: როგორია OGP-ის შესრულებული ვალდებულებების ანგარიში?

3- საკვლევ კითხვა– როგორ გავლენას ახდენს OGP-ის ვალდებულებების შესრულება საქართველოს რეიტინგზე გაეროში?

ჰიპოთეზა -საქართველოს რეიტინგი ელ-მმართველობის გლობალურ რეიტინგში იცვლება ღია მმართველობის პარტნიორობის ვალდებულებების შესრულების მიხედვით.

დამოუკიდებელი ცვლადი: ღია მმართველობის პარტნიორობის ვალდებულებები.

დამოკიდებული ცვლადი: საქართველო გაეროს რეიტინგებში.

რაც შეეხება ცვლადებში მოცემული ცნებების ოპერაციონალიზაციას, ამისათვის საჭიროა განვმარტოთ ეს ცნებები და გავზომოთ, მაგალითად, თუ რას ნიშნავს ღია მმართველობის პარტნიორობა და მისი ვალდებულებები. „ღია მმართველობის პარტნიორობა“ (Open Government Partnership) მიზნად ისახავს მსოფლიო მასშტაბით მთავრობათა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაზრდას.“

(ღია მმართველობა საქართველო, <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/347>)

„პარტნიორობა ინიცირებულ იქნა 2011 წელს აშშ-ს პრეზიდენტის, ბარაკ ობამას და ბრაზილიის პრეზიდენტის, დილმა რუსევის მიერ და დაფუძნდა როგორც 8 ქვეყნის ინიციატივა. ეს ინიციატივა დღეს 63 სახელმწიფოს აერთიანებს მათ შორისაა საქართველო, რომელიც, ადრეულ ეტაპზევე, 2011 წლის 20 სექტემბერს შეუერთდა პარტნიორობას“ (ღია მმართველობა საქართველო,

<http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/347>).

ახალი ინიციატივა სამ პოსტულატზეა დაფუძნებული:

- **გამჭირვალობა** ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეები ინფორმაციით მთავრობის საქმიანობის შესახებ, რათა იყოს ანგარიშვალდებული მათ წინაშე,
- **მონაწილეობა** ხელისუფლებამ აქტიურად უნდა გაითვალისწინოს გარე წყაროებიდან მიღებული ექსპერტული შეფასებები, რათა ინფორმაციის მიღების ხარჯზე გაუმჯობესდეს მისი პოლიტიკა,
- **თანამშრომლობა** ოფიციალურმა პირებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და მოქალაქესთან ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით“ (ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი, 2010, გვ.14)

„მართვისა და ბიუჯეტის ოფისის მიერ გამოცემულმა დირექტივამ დაავალდებულა ყველა სააგენტო და სახელმწიფო სტრუქტურა განევიტარებინათ ღიაობის პოლიტიკა ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. **საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება ელექტრონულ ფორმატში** -საჯარო ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს დროულად და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ფორმატში. ამავე დროს, საჯარო ინფორმაციის პროაქტიურად გამოყენებამ ხელი უნდა შეუწყოს საჯარო ინფორმაციის ოფიციალურად გამოთხოვნათა რიცხვის კლებას. ყველა სახელმწიფო სტრუქტურას დაევალა საკუთარ ვებ-გვერდზე შექმნა ღია მთავრობის ცაკლე განყოფილება.
2. **გამოქვეყნებული ინფორმაციის ხარისხობრივი გაუმჯობესება**- კონტროლის მექანიზმების შექმნა სამთავრობო ინფორმაციის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ინფორმაციის ობიექტურობის შეფასება.
3. **ღია მთავრობის მიდგომის შექმნა და ინსტიტუციონალიზაცია** - თითოეულმა სახელმწიფო სტრუქტურამ უნდა შექმნას და დანერგოს ღია მთავრობის საკუთარი სტრატეგია. ინიციატივის კოორდინაციისთვის უნდა შეიქმნას „ღია მთავრობის“ მართვის პანელი.
4. **ღია მთავრობის პოლიტიკის ლოგიკური ჩარჩოს შექმნა**- ღია მთავრობის იდეის ხორცშესხმისთვის ინოვაციური ტექნიკური მიღწევების პრაქტიკული დანერგვა,

ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება“ (ავალიშვილი2010,გვ.15)

„ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში დასახულია 5 ძირითადი გამოწვევა, რომელთაგან ერთს მაინც უნდა პასუხობდეს სახელმწიფოს სამოქმედო გეგმა. ესენია:

1. საჯარო მომსახურების გაუმჯობესება
2. საზოგადოებრივი ჩართულობის გზა
3. საჯარო რესურსების უკეთ მართვა
4. უსაფრთხო გარემოს შექმნა
5. ბიზნესის პასუხისმგებლობის გაზრდა“ (ღია მმართველობა საქართველო. <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/347>)

„2012 წლის 17 აპრილს, საქართველომ წარადგინა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული ღია მმართველობა საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმა“ (ღია მმართველობა საქართველო.

<http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/347>)

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ვალდებულება არ არისსაინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომისთვის, ჩვენი ინტერესის საგანია ის ვალდებულებები, რომლებიც უშუალო კავშირშია ელექტრონულ მმართველობასთან.

საინტერესოა, გავიგოთ ის მეთოდოლოგია, თუ როგორ აფასებს ეს ანგარიში მიღწეულ პროგრესს; „ვალდებულებების შესრულება ფასდება შემდეგი შესრულების შეფასების რეიტინგით:

1. სრულად შესრულდა
2. უმეტესად შესრულდა
3. ნაწილობრივ შესრულდა
4. განხორციელების პროცესშია
5. არ შესრულებულა

(ღია მმართველობა საქართველო. <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/347>)

გადავიდეთ მეორე დამოკიდებულ ცვლადზე და მოვახდინოთ ამ ცნების ოპერაციონალიზაცია:

გაეროს მიხედვით, ელექტრონული მმართველობის ინდექსი არის მათემატიკურად გამოთვლილი საშუალო სიდიდე, რომელიც მოიცავს სამმთავარ მონაცემს, ესენია: ხედვა და ხარისხი ონლაინ მომსახურების, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ინდექსი და ადამიანური კაპიტალის ინდექსი. ეს ყველაფერი კი გამოითვლება ფორმულით: $EGDI = \sqrt[3]{(OSI_{normalized} + TII_{normalized} + HCI_{normalized})}$

საჭიროა, უფრო გავშალოთ და განვმარტოთ თუ რას ნიშნავს თითოეული ეს კომპონენტი:

(1) სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ინდექსი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ხუთ კომპონენტს:

1. ინტერნეტის მომხმარებლები, ანუ ის ინდივიდები ვისაც ბოლო სამი თვის განმავლობაში შეხება ჰქონდათ და იყენებდნენ ინტერნეტს
2. ფიქსირებული სატელეფონო ხაზები
3. მობილური ტელეფონის მომხმარებლები, ის ადამიანები ვინც ბოლო სამი თვის განმავლობაში იყენებდნენ მობილურ ტელეფონს
4. უკაბელო ინტერნეტის მომხმარებლები
5. ფიქსირებული ინტერნეტის მოდემის მომხმარებლები (un e-government survey 2016.(2016)<https://publicadministration.un.org/egovkb/en-us/Reports/UN-E-Government-Survey-2016> p.131)

(2) ადამიანური კაპიტალის ინდექსი, რომელიც მოიცავს ოთხ კომპონენტს:

1. სრულწლოვანთა წიგნიერების დონე; იგულისხმება იმ ადამიანთა პროცენტული რაოდენობა, რომლებიც არიან 15 წლის ან გადაცილებულები და ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუძლიათ ზეპირად და წერილობით გადმოსცენ მოკლე შეტყობინებები
2. დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა.
3. განათლების დონის მოსწავლეების ასაკთან შესაბამისობა.

(un e-government survey 2016. (2016). <https://publicadministration.un.org/egovkb/en-us/Reports/UN-E-Government-Survey-2016> p.137)

4. ონლაინ სერვისების ხარისხი. ამ კომპონენტში „ფასდება ქვეყანაში არსებული სამთავრობო ვებ-გვერდები, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეროვნული პორტალების, ელ-სერვისების და ჩართულობის ელ-პლატფორმების არსებობას. (საქართველო გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევაში-შედეგების მიმოხილვა და რეკომენდაციები, <https://idfi.ge/ge/georgia-in-the-un-e-governance-research-review-of-findings-and-recommendations>)

(3) ელექტრონული ჩართულობის ინდექსი კი მოიცავს შემდეგ სამ კომპონენტს :

1. ელ-ინფორმაცია, რაც გულისხმობს მოქალაქეებისთვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.
2. ელ-კონსულტაცია მოიაზრებს მოქალაქეების ჩართულობას საჯარო პოლიტიკის და სერვისების დანერგვის პროცესში.
3. ელ-გადაწყვეტილების მიღება, რაც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს თავად მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და პოლიტიკის შემუშავებაში.

(un e-government survey 2016. (2016) <https://publicadministration.un.org/egovkb/en-us/Reports/UN-E-Government-Survey-2016>p.141)

1.4 თეორიული ჩარჩო

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია კარენ ლეინისა და ჯუნგვო ლის სტატია, Developing Fully Functional E-government: A four satge model, სადაც განხილულია. ელ-მმართველობის განვითარების ოთხსაფეხურიანი მოდელი, რომლის მიხედვითაც ელ-მმართველობა არის ევოლუციური ფენომენი, ამიტომ სათანადოდ უნდა მოხდეს მისი დანერგვა და მიღება. ეს ევოლუცია შედგება ოთხი საფეხურისგან, ესენია: კატალოგიზაცია, ტრანზაქცია, ვერტიკალური ინტეგრაცია და ჰორიზონტალური

ინტეგრაცია.(karen layne. Jungwoo lee. (2001) Developing Fully functional E-government: A four satge model, p.122-136) ქვემოთ მოკლედ განვმარტავთ თითოეულ მათგანს:

კატალოგიზაცია ეს არის პირველი საფეხური, რომელზეც მთავრობა ქმნის სახელმწიფო საიტებს ძირითადად მედიის ზეწოლით, ასევე მოქალაქეების მოთხოვნით, ასევე იმ მოსამსახურეების, ვინც მუშაობენ საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით. ამ საფეხურზე მთავრობას არ აქვს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, ამიტომ რისკების თავიდან ასაცილებლად პატარა პროექტების განხორციელებებით შემოიფარგლება ხოლმე. ასევე ამ საიტებზე განთავსებული ინფორმაცია მწირია. მოქალაქეები, ნაცვლად ცნობარებისა, სამთავრობო ინფორმაციას ეძებენ ინტერნეტში, ხოლო როცა ვერ პოულობენ, უკმაყოფილოები არიან. მთავრობის გადმოსახედიდანაც, ინტერნეტი საჭირო და გამოსადეგია, რადგან მარტივ და საბაზისო კითხვებზე პასუხის გაცემასამთავრობო სერვისების შესახებ დიდი დრო მიაქვს, ხოლო ინტერნეტი კი საქმეს უმარტივებს საჯარო მოხელეებს - მოქალაქეები სამთავრობო ვებ-გვერდებზე ონლაინ მიიღებენ პასუხს თავიანთ კითხვებზე. თუმცა ამ საფეხურისთვის ისიცაა დამახასიათებელი, რომ არსებობას აგრძელებენ ტრადიციული სერვისებიც, მაგალითად სატელეფონო მომსახურება და სხვა, მაგრამ უფრო მცირე მოცულობით და განკუთვნილია იმ მოქალაქეებისთვის, ვისაც ინტერნეტზე წვდომა არ აქვს.(karen layne. Jungwoo lee. (2001) Developing Fully functional E-government: A four satge model,p.126)

ტრანზაქცია ამ საფეხურზე ვითარდებიან სამთავრობო საიტები, მოქალაქეები და საჯარო მოხელეები და მოქალაქეები აცნობიერებენ, რომ ინტერნეტი ღირებულია. მოქალაქეები ითხოვენ სამთავრობო დადგენილებების ვებ-გვერდებზე განთავსებას, მათ ურჩევნიათ ონლაინ გაეცნონ მასალებს, ვიდრე წავიდნენ სპეციალურ დაწესებულებებში. მეორე საფეხური არის სათავე ელექტრონული მმართველობის, როგორც რევოლუციური დაწესებულების, რომელიც ცვლის ხალხსა და მთავრობას შორის ურთიერთკავშირის მეთოდებს. ეს საფეხური საშუალებას აძლევს მოქალაქეებს დაამყარონ საქმიანი ურთიერთობა საკუთარ მთავრობასთან ნებისმიერ დროს, დაზოგონ დრო, თავიდან აიცილონ საჯარო დაწესებულებაში ვიზიტი და რიგში დგომა. ავტომობილების ონლაინ რეგისტრაცია და გადასახადების გადახდა არის მხოლოდ დასაწყისი ამგვარი ტრანზაქციული სერვისების დანერგვის.(2001, p. 126)

ვერტიკალური ინტეგრაცია ეს საფეხური ფოკუსირებულია გარდაქმნას სახელმწიფო სერვისები, გახდეს მთავრობა ელექტრონული. მარტივი არ არის, მთავარია არსებული სერვისების ინტერნეტში განთავსება. მესამე საფეხური ემსახურება იმას, რომ მოხდეს ფედერალურ, შტატის და ადგილობრივ დონეზე არსებული კომპიუტერების დაკავშირება და მათ შორის კომუნიკაციის დამყარება. თუ მაგალითად მოქალაქის საქმიანობა დაკავშირებულია შტატის დონეზე არსებულ სააგენტოსთან, ამ თანამშრომლობის შესახებ ინფორმაცია უნდა გადაეცეს ადგილობრივ და ფედერალურ დონეზე არსებულ კომპიუტერებს. (karen layne. Jungwoo lee. (2001) Developing Fully functional E-government:A four satge model, p. 129-130)

ჰორიზონტალური ინტეგრაცია მაღალი საფეხურია, რომლის დროსაც იზრდება უკუკავშირი მოქალაქეებსა და მთავრობას შორის. (karen layne. Jungwoo lee. (2001) Developing Fully functional E-government:A four satge model, p.132) შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის ბოლო და იდეალური საფეხური - ელ-მმართველობის განვითარების უმაღლესი მწვერვალი.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ავტორები ამბობენ,ოთხ საფეხურიანი თეორია შემუშავებულია ამერიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ის ვარგისია ასევე სხვა სახელმწიფოებისთვისაც.(karen layne. Jungwoo lee. (2001) Developing Fully functional E-government:A four satge model, 2001, გვ.123) ეს თეორია მოგვცემს საშუალებას ჩავუღრმავდეთ ელ-მმართველობის განვითარების ფენომენს და მივანიჭოთ საქართველოს ადგილი კონკრეტულ საფეხურზე.

1.5 კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. „კვლევის მხოლოდ ეს მეთოდები გვაძლევს საშუალებას, შევისწავლოთ ამა თუ იმ მოვლენის მიზეზები, ვუპასუხოთ არა კითხვებს რა?, რამდენი?,არამედ კითხვებს რატომ?, როგორ?“ (თინათინ ზურაბიშვილი. (2006) თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.გვ.7). კვლევის ფარგლებში მოხდება „შემთხვევის

შესწავლა“ (case study) იგივე „მონოგრაფიული გამოკვლევა ცალკეული შემთხვევის, თემის ან სოციალური ჯგუფის სიღრმისეული და ყოველმხრივი შესწავლა მკვლევართა ხელთ არსებული ყველა საშუალების მეშვეობით“ (ზურაბიშვილი, 2006, გვ.61). ამ მეთოდის ფარგლებში გამოყენებულ იქნება სიღრმისეული ინტერვიუები და დოკუმენტების ანალიზი. „სიღრმისეული ინტერვიუს მიზანია გავიგოთ რესპოდენტების მაქსიმალურად დეტალური მოსაზრებები შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით“ (ზურაბიშვილი, 2006, გვ.17) ამ მეთოდის უპირატესობა არის ის, რომ „მაშინ, როდესაც ერთხელ შედგენილი ფორმალური კითხვარი ზღუდავს რესპოდენტზე მორგებულ გადახვევებს, ჩაღრმავებული ინტერვიუ აძლევს ინტერვიუერს შანსს, ჩაეძიოს, განამარტებინოს, ეძიოს უფრო ღრმა მნიშვნელობა, მოსინჯოს გაუთვალისწინებელი პასუხები და შეაფასოს ძნელად ხელშესახები ფაქტორები, როგორცაა განწყობა და აზრთა ინტენსივობა.“ (ჯონსონი, რეინოლდსი, მაიკოფი, 2013, გვ.416) რაც შეეხება მეორე მეთოდს, დოკუმენტების ანალიზს, „პოლიტიკის მეცნიერები აღნიშნულ მეთოდს მაშინ მიმართავენ, როდესაც მათთვის საინტერესო ფენომენის კვლევა შეუძლებელია პირისპირი ინტერვიუებით, კითხვარებით ან პირდაპირი დაკვირვების მეთოდების გამოყენებით. მაგალითად, ინტერვიუებისა და დაკვირვების გამოყენება შეუძლებელია, როდესაც მკვლევარი აკვირდება მასობრივ სოციალურ ქცევას (მაგალითად, სამოქალაქო პროტესტი და გამოსვლები, ეროვნული მთავრობების მიერ ბიუჯეტის გადანაწილება), როდესაც მკვლევარი ინტერესდება სპეციფიკურ დროს მომხდარი ფენომენით (უზენაესი სასამართლოს განაჩენებით სამოქალაქო ომის პერიოდში), ან როდესაც იკვლევენ სივრცეში (გეოგრაფიულ არეალი) მომხდარ ფენომენს (სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ თავდაცვის სფეროში გაწეული დანახარჯები). (ჯონსონი, რეინოლდსი, მაიკოფი, 2013, გვ.332) ჩვენ სწორედ სპეციფიკურ დროში მომხდარ ფენომენს ვიკვლევთ, გვინტერესებს 2012-2013 და 2014-2015 წლების დია მმართველობის პარტნიორობის საბოლოო ანგარიშების ანალიზი, როგორც საქართველოს ასევე მოლდოვის რესპუბლიკის, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუ ჩაუტარდათ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლებს. ნაშრომში გამოყენებულია არაალბათური შერჩევა, ეს „არის შერჩევის

იმგვარი ტიპი, რომელშიც პოპულაციის თითოეული ელემენტის შერჩევაში მოხვედრის ალბათობა წინასწარ უცნობია“ (ჯანეტ ბუტოლფ ჯონსონი, ჰ.ტ. რეინოლდსი, ჯეისონ დ. მაიკოფი, პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები. (2013) თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ.279). უფრო კონკრეტულად კი ხელმისაწვდომი შერჩევა და „თოვლის გუნდა“. პირველი შერჩევისას „მკვლევარი მისთვის მოსახერხებელ ან მარტივად შესარჩევ ელემენტებს არჩევს.“ (ჯონსონი, რეინოლდსი, მაიკოფი, 2013, გვ.280) ხოლო „თოვლის გუნდა“ ეწოდება შერჩევის იმგვარ ტიპს, როდესაც რესპონდენტები თავად ასახელებენ სხვა ადამიანებს, რომლებიც ასევე მიესადაგებიან შერჩევის კატეგორიას. შემდგომ ხდება ამ ადამიანების ინტერვიუება და შემდგომი რესპონდენტების შესახებ რჩევასაც მათგან ვიღებთ“ (ჯონსონი, რეინოლდსი, მაიკოფი, 2013, გვ.280). შერჩევის ეს ტიპი გამოყენებული იქნა იმისთვის, რომ არ იყო წინასწარ განსაზღვრული შერჩევის ჩარჩო. ჩვენს შემთხვევაში, ხელმისაწვდომი შერჩევით შეირჩა რესპონდენტი, რომელმაც შედეგ „თოვლის გუნდას“ პრინციპით გადაგვამისამართა სხვებთან.

თავი 2

2. ლიტერატურის მიმოხილვა

ელ-მმართველობის შესახებ ლიტერატურაში გამოიყოფა რამდენიმე ნაშრომი, რომელიც შეიცავს მოდელებს ან თეორიას ელ-მმართველობის განვითარების შესახებ, ამათგან ოთხი გამოქვეყნდა 2001 წელს, ხოლო ერთი 2000წელს. როგორც ავტორები Coursey&Norrisაცხადებენ თავის სტატიაში Models of E-Government: are They Correct? An Empirical Assessment, ყველა ეს თეორია არის ნაწილობრივ აღწერითი ხასიათის, ნაწილობრივ ნორმატიული და ნაწილობრივ წინასწარმეტყველური. (Coursey&Norris,2008,p.523) სტატიაში მოკლედ განხილულია ხუთივე თეორია და შედარებულია ერთმანეთს. ავტორები ამ თეორიებიდან უპირატესობას ლეინის და ლის თეორიას ანიჭებენ, როგორც შედარებით გამორჩეულ თეორიას(Coursey&Norris. 2008,p.525) ავტორები აკრიტიკებენ ზემოთ ნახსენებ მოდელებს იმისთვის, რომ ისინი ვერ გვეუბნებიან თუ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ელ-მმართველობის ევოლუცია და მის სრულ განხორციელებამდე რამდენი დრო გავა. ასევე ეს თეორიები ვერ სცემენ პასუხს, თუ როგორ უნდა გადალახონ მთავრობებმა ის ბარიერები რაც ელ-მმართველობის განვითარებას ეღობება წინ.(Coursey&Norris. 2008,p.525) ეს თეორიები უბრალოდ გვეუბნებიან, რომ განვითარებული ელ-მმართველობა კარგია. ელ-მმართველობას უნდა იყენებდეს მთავრობა, რომ გააუმჯობესოს კომუნიკაცია მოქალაქეებთან.ამიტომ ეს თეორიები ნორმატიულია (Coursey&Norris. 2008,p.525) ქორზი და ნორისი ცდილობენ განიხილონ ეს მოდელები ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით(Coursey&Norris. 2008,p.525). ემპირიული კვლევის შედეგებმა ავტორებს საშუალება მისცა გაეკეთებინათ დასკვნები ელ-მმართველობის შესახებ და მათი აზრით, ეს უფრო უზრუნველყოფს ამ ფენომენის გაგებას, ვიდრე ზემოთ ნახსენები მოდელების გააზრებიდან არის შესაძლებელი,ამიტომ ისინი გვთავაზობენ შემდეგ დასკვნებს:

- ელ-მმართველობა არის დანამატი ტრადიციული საშუალებების სახელმწიფო სერვისების მიღების და არა მათი შემცვლელი. ამგვარად წინა კვლევების წრეზე ბრუნვის ტვირთი მოხსნილია.

- აქ არ ჩანს შესამჩნევი ნაბიჯები და საფეხურები ელ-მმართველობაში. უფრო მეტიც, ელ-მმართველობის ინიცირების მერე, მთავრობის მიერ ელ-მმართველობის ათვისება ნელა მიმდინარეობს.
- ელ-მმართველობა არ არის სწორხაზოვანი, მის გვიან ათვისებას სულაც არ სჭირდება საბაზისო დონე. თქვენ შეგიძლიათ ისწავლოთ სხვა სახელმწიფოების გამოდილებიდან და ასევე კერძო სექტორის და დაიწყოთ უფრო გამოცდილი შემოთავაზებებით.
- ელ-მმართველობა არ არის აუცილებლად პროგრესირებადი მის ტექნიკურ განვითარებაში და არც უპრობლემო, არც უკეთესი და მისი შედეგები ყოველთვის არ არის პოზიტიური.
- ელ-მმართველობას მართლაც აქვს დიდი პოტენციალი, რომ გააკეთოს ბევრი რამ და ეს ბევრი რამ შეუძლებელია წინასწარ განჭვრიტო, ეს მართალია ზოგადად ტექნოლოგიურ ინოვაციებთან. მაგრამ ზოგი პოტენციალი, ამ თეორიებზე დაფუძნებული, ჩანს არ ეყრდნობა რეალურ ახსნებს.
- ელ-მმართველობამ შეიძლება არ შეუწყოს ხელი რეფორმებს და პირიქით მხარი დაუჭიროს მთავრობას და მასთან კოალიციაში მის ინტერესებს ემსახუროს.
- ტექნოლოგიები არ არის ძირითადი ბარიერი ელ-მმართველობისთვის, მითუმეტეს, თუ მთავრობა გამოიმუშავებს გამოცდილებას. პოლიტიკური და ორგანიზაციული ფაქტორები მეტ გავლენას ახდენენ (Coursey&Norris. 2008,p.523)

რაც შეეხება იმ ბარიერებს, რაც ელ-მმართველობას შეიძლება შეხვდეს, საუბარია ასევე ზემოთ აღნიშნულ სტატიაში. ამ ბარიერების ცოდნა მნიშვნელოვანია ჩვენი ნაშრომისთვის და მისი მიზნისთვის, რადგან ჩვენ გვინტერესებს მიზეზი იმის, რამაც შეაფერხა საქართველოში ელ-მმართველობის ინდექსის განვითარება, ხოლო თუ გვექნება ინფორმაცია იმ ბარიერებზე, რაც ტრადიციულად ელ-მმართველობის წინაშე დგება, მაშინ მიზეზის პოვნაც არ გაგვიჭირდება.

ქორზი და ნორისი გამოყოფენ შემდეგ ბარიერებს: ტექნიკურს, პოლიტიკურს, ორგანიზაციულს, საკანონმდებლო და ფინანსურს (Coursey&Norris. 2008,p.529). თითქმის მსგავს ბარიერებზე საუბრობს ჟანენოვა თავის სტატიაში: E-government in Kazakhstan: challenges for a transitional country. მას ყახაზეთის მაგალითი მოჰყავს სადაც

ვხვდებით შემდეგ ბარიერებს, პოლიტიკური გარემო, კორუფცია, ტექნოლოგიური პრობლემები და ა.შ მათზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ (Janenova,2010)

საინტერესოა კალვეტის და ჟანენოვას სტატიები: პირველი ცდილობს ახსნას ესტონეთში ელექტორნული მმართველობის წარმატების ფაქტორები, ხოლო მეორე სტატია კი ეხება მსჯელობას იმის შესახებ, რომ ყაზახეთში ელ-მმართველობის დანერგვა ძირითადად პოლიტიკური რეჟიმის ძალისხმევის შედეგია(Janenova,2010) რაც შეეხება მეთოდოლოგიას, ორივე ავტორი იყენებს მეორადი წყაროების ანალიზს.

კალვეტი ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით თავის სტატიაში) Innovation: a factor explaining e-government success in Estonia გამოყოფს შემდეგ ფაქტორებს: პირველი, როგორც კვლევებმა აჩვენა, საჯარო სექტორში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის უკან იდგენენ ენთუზიასტი საჯარო მოხელეები. (Kalvet,2009.p.4) მეორე - ესტონეთს ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართ კეთილგანწყობილ ქვეყანას. მაგალითად გამოდგება საჯარო ინფორმაციის აქტი, რომელიც მიიღეს 2000 წელს, რაც უზრუნველყოფს გარანტირებულ წვდომას საჯარო ინფორმაციაზე(Kalvet. 2009,p.4). მესამე - სტაბილური დაფინანსება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება საჯარო სექტორში დაიწყო ესტონეთის დამოუკიდებლობის ადრეულ წლებში(Kalvet. 2009,p.4). მაგალითად, 2005 წელს ცენტრალური მთავრობის კომპიუტერების 99% ინტერნეტში იყო ჩართული (Kalvet .2009,p.4)

შედარებით სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისგან, ესტონეთს ჰქონდა შესაძლებლობა ჰქონოდა მნიშვნელოვანი კომპეტენცია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. ყველა ყოფილ სახელმწიფოს კუთვნილ ორგანიზაციას საკუთარი კომპიუტერული ცენტრი გააჩნდა. ტალინისდა ტარტუს უნივერსიტეტი ორივე კარგ საინფორმაციო ტექნოლოგიურ განათლებას იძლეოდა (Kalvet,2009,p.8) თანამედროვე ტექნოლოგიების პლატფორმების ტრანსფერის იოლად განხორციელებას იმანაც შეუწყობ ხელი, რომ ტექნოლოგიური ბაზა ბევრი სექტორის, ნულიდან აშენდა (Kalvet,2009,p.8). ინდივიდებმა სხვასასხვა სექტორიდან, მათ შორის საჯარო, კერძო, არასამთავრობო,

ითამაშესმნიშვნელოვანი როლი ესტონური ელ-მმართველობის წარმატებაში (Kalvet,2009,p.9) მაგალითად, ჰასაბანკში ინტერნეტ ბანკის შექმნა არის შედეგი ენთუზიასტი მოსამსახურეების, რომლებიც საკუთარი ინიციატივით მუშაობდნენ დღე და ღამე(2009,p.9)

ყველაზე დიდი მიღწევა ესტონეთის კი ელექტრონული არჩევნებია, რომელიც 2005 წლიდან ტარდება და ყველა ანგარიშები მის წარმატებაზე მეტყველებს. მოქალაქეს ვისაც აქვს ID ბარათი, PIN კოდი, კომპიუტერი ბარათის წამკითხველი და შესაბამისი პროგრამა, შეუძლია ხმა მისცეს ელექტრონულად (Kalvet,2009,p.9)

რაც შეეხება მეორე სტატიას, აქ გამოყოფილია სამი საკვანძო საფეხური, რომელსაც მოიცავს ელ-მმართველობის პოლიტიკა ყაზახეთში:

1. ელექტრონული მმართველობის საბაზისო კომპონენტების განვითარება, მათ შორის ელ-მმართველობის პორტალი, სახლიდან გაუსვლელად გადახდის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია საბანკო სისტემასთან და ეროვნული საიდენტიფიკაციო სისტემა
2. ელ-მმართველობის სერვისების გაფართოება
3. აშენება ინფორმაციული საზოგადოების რომელიც უზრუნველყოფილია, ელ-ჯანდაცვით, ელ-განათლებით და ელ-დემოკრატიით (Janenova, 2010,p.8)

ამ სტატიაში ასევე ჩამოთვლილია ის გამოწვევები, რაც დგას ყაზახეთში ელ-მმართველობის დაწესების წინაშე. პირველი გამოწვევა არის პოლიტიკური გარემო: ყაზახეთი იმართება პოლიტიკური ელიტის მიერ და არის ძლიერ ცენტრალიზებული ქვეყანა(Janenova.2010,p.10). კიდევ ერთი გამოწვევა არის კორუფცია, მას შემდეგ რაც დაიწყო ხელშეწყობა გამჭირვალობის და საჯარო ანგარიშვალდებულების, ელ-მმართველობამ სერიოზული გამოწვევები შექმნა ყაზახეთის ტრადიციულ ბიუროკრატიისთვის. ელ-მმართველობის წარმატება აიძულებს კორუმპირებულ ბიუროკრატებს დაკარგონ თავიანთი ძალაუფლება რესურსების და გადახდის საშალებების კონტროლზე(Janenova 2010,p.11). მონიტორინგი და ევოლუცია აუცილებელია იმისათვის, რომ გარკვეული იქნეს მოქალაქეთა მოთხოვნები და მოხდეს შეფასება განხორციელებული პროექტების,მათთან შევხედრის გზით, ვისაც უშუალოდ

ეხებოდა ეს პროექტები. (Janenova.2010,p.11) მომხმარებელზე ორიენტაციის ნაკლი: მომხმარებელზე ორიენტაცია პოპულარული სლოგანია ყაზახეთში განსაკუთრებით საკვანძო პოლიტიკის დოკუმენტებში და ოფიციალურ პირთა გამოსვლებში, ხშირად მთავრობამ არ იცის, თუ რა სერვისები სჭირდება მოქალაქეებს. ეს არის ნაკლი კონსულტაციის ბიზნესმენებთან და მოქალაქეებთან, იმისათვის, რომ გაიგონ მათი მოთხოვნები.(2010,p.11) ციფრული დაყოფა ეს მნიშვნელოვანი ბარიერია ელ-მმართველობისთვის ის მოსახლეობა ვისაც აქვს დაბალი კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ლიმიტირებული წვდომა ინტერნეტთან ვერ სარგებლობენ ონლაინ სერვისებით. თუმცა რაოდენობა მოსახლეობის, ვისაც გააჩნია კომპიუტერული უნარ ჩვევები და აქვს წვდომა ინტერნეტთან, იზრდება, ის მოქალაქეები, ვისაც ჯერ კიდევ არ აქვთ წვდომა ინტერნეტზე, არიან ძირითადად სოფლის მოსახლეობა და მცირე-შემოსავლიანი მოქალაქეები (2010,p.11). ტექნოლოგიური პრობლემები: აქ ავტორი გამოყოფს ნაკლს ცენტრალიზებული სისტემის, რაც ხშირად იწვევს საქმიანობის დუბლირებას (2010,p.12). მთლიანობაში, სტატია საინტერესოა; ყაზახეთიც, ისევე როგორც საქართველო, პოსტ-საბჭოთა ქვეყანაა და მისი გამოცდილება საქართველოსთვის საინტერესოა. ზოგი გამოწვევა რაც ყაზახეთში ელ-მმართველობის განვითარების წინაშე დგას, არც საქართველოსთვისაა უცხო,რაც უფრო ღირებულს ხდის მის გამოცდილებას. ასევე, ესტონეთის მაგალითიც შესასწავლი და გასათვალისწინებელია.

ნაშრომისთვის მნიშვნელოვანია ასევე რიჩარდ ჰიკსის სტატია, სადაც ის გამოყოფს ოთხ ჯგუფს, რომლებიც ხელს უწყობენ გარედან განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებში ელ-მმართველობის დანერგვას.

1. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები - ეს არის მნიშვნელოვანი წყარო ახალი საჯარო მენეჯმენტის სხვა ქვეყნებში გადატანის. დონორები, რომლებიც განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებისთვის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროები არიან, ქმნიან ძლიერ სისტემას ელ-მმართველობისთვის.
2. კონსულტანტები, მასპინძელ ქვეყნებში მუშაობენ მრავალი მიზეზით: კომპენსირება მოახდინონ სუსტი უნარ-ჩვევების, ლეგიტიმაცია მოახდინონ ცვლილებების, როგორც საჭირო კომპონენტები დონორების დახმარების. ისინი ატარებენ ბევრ რეფორმებს, მათ შორის ელ-მმართველობის კუთხით.

3. საინფორმაციო-ტექნოლოგიებით მოვაჭრეები, ხშირად ეს მოვაჭრეები არიან გზამკვლევის პოზიციაში და კარნახობენ მათ მიმართულებას ელ-მმართველობის
4. დასავლეთში ნასწავლი საჯარო მოსამსახურეები - ბევრ საშუალო და მაღალი რანგის საჯარო მოხელეს, განვითარებად და გარდამავლა ქვეყნებში, განათლება აქვს მიღებული დასავლეთში. ეს განათლება დიდ როლს თამაშობს, რომ ამ მოსამსახურეებმა გაახმოვანონ თავიანთი იდეები ახალ საჯარო მენეჯმენტზე და ელ-მმართველობაზე (Heeks, 2005,p.58)

მიუხედავად იმისა, რომ სტატია ძველია - 2005 წელს დაწერილი, ის მაინც ღირებულია და წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ როგორ ხდებოდა სახელმწიფოში გარედან ელ-მმართველობის შემოტანა და დანერგვა, ხოლო მისი შემომტანები კი ძირითადად იყვნენ საერთაშორისო დონორები, კონსულტანტები, კომპიუტერული ტექნოლოგიებით მოვაჭრეები და დასავლეთში განათლება მიღებული მოხელეები. სტატიებიდან შემდეგი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ელ-მმართველობა კომპლექსური დარგია, მის განვითარებაში პოლიტიკურ ნებას დიდი ადგილი უკავია, ასევე ფინანსური რესურსებიც მნიშვნელოვანია, აუცილებელია ასევე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის განვითარება, მოქალაქეებში კომპიუტერული უნარ-ჩვევების ამადლება, რათა მათ შეძლონ ელ-მმართველობის ფარგლებში შეთავაზებული მომსახურებით სარგებლობა და იმ სარგებლის მიღება, რასაც ელ-მმართველობა იძლევა. ასევე, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერა და დახმარებაც დიდად უწყობს ხელს ელ-მმართველობის დანერგვას და განვითარებას სახელმწიფოში. ესტონეთის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკვანძო ფაქტორები ელ-მმართველობის განვითარების იყო:

1. ლიდერების და საჯარო სექტორის კომპეტენცია
2. ადეკვატური დაფინანსება
3. საკანონმდებლო მხარდაჭერა
4. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება
5. საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა
6. კერძო სექტორის კომპეტენტურობა

(Kalvet,2009,p.4)

ამ ფაქტორების შესწავლა და გამოცდილების მხედველობაში მიღება მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოში ელ-მმართველობის განვითარების მიმართულებით.

თავი 3

3.1 მოლდავური გამოცდილება

საქართველო, ისევე როგორც მოლდოვის რესპუბლიკა, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოა. ეს ორი სახელმწიფო, გარდა საერთო საბჭოთა წარსულისა, ასევე იმით ჰგავს ერთმანეთს, რომ ორივეს 90-იან წლებში გადატანილი აქვს ეთნიკური კონფლიქტები.

რაც შეეხება ელ-მმართველობას, მოლდოვაში არსებობს საჯარო ორგანიზაცია „ელექტრონული მმართველობის ცენტრი“, და როგორც მის წესდებაში ვკითხულობთ ცენტრს აქვს შემდეგი ფუნქციები:

1. სტრატეგიული დაგეგმარება, პროექტების მენეჯმენტი და მთავრობაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების დანერგვა.
2. მოლდოვის რესპუბლიკაში საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისთვის „საგზაო ფურცლის“ შემუშავება. საბაზისო ინფრასტრუქტურის პროექტირება, კვალიფიციური პერსონალის განვითარება და ტექნოლოგიური პროცესის სტიმულირება.
3. ელ-ტრანსფორმაცია და მოქალაქეებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებით სარგებლობის გაზრდა.

(about egc. <http://egov.md/en/about>)

ასევე ცენტრის ბაზაზე არსებობს ელ-ტრანსფორმაციის საკოორდინაციო საბჭო, რომელიც შეიქმნა 2011 წელს მთავრობის დადგენილებით. „ელექტრონული მმართველობის ცენტრი“ წარმართავს საბჭოს საქმიანობას. ხოლო თვითონ საბჭოს შემდეგი ფუნქციები აკისრია:

1. საბჭო მონაწილეობს პოლიტიკის, სტანდარტების და ტექნიკური რეგლამენტის დანერგვაში, რაც ემსახურება ელ-ტრანსფორმაციას და ელ-მმართველობის დანერგვას.

2. კოორდინაციას უწევს ელ-მმართველობის ცენტრთან ერთად სამთავრობო სერვისების ელექტრონულ ფორმატში მიწოდებას საჯარო სტრუქტურების ყველა დონეზე.
3. მთავრობის, სამინისტროების, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ეფექტურობის ასამღლებლად, კოორდინაციას უწევს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.
4. კოორდინაციას უწევს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვას იმ მიზნით, რომ გაიზარდოს სამთავრობო სერვისების ხარისხი და ეფექტურობა.

(<http://egov.md/ru/o-nas/kep>)

რაც შეეხება ელ-მმართველობის ცენტრის საიტს. მისი დიზაინი თანამედროვე და მოსახერხებელია, საიტი სამენოვანია - რუსული, რუმინული და ინგლისური. ასევე საიტიდან პირდაპირ შესაძლებელია გადასვლა ცენტრის ფეისბუქის, ტვიტერის, იუთუბის, გუგლ პლიუსის, ვორდპრესის და ლინქედინის გვერდებზე. ცენტრს გააჩნია თავისი აპლიკაციაც - ელ-ტრაფიკი, როგორც საიტზე ვკითხულობთ: „ელ-მმართველობის ცენტრმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან პარტნიორობით შექმნა მობილური აპლიკაცია ელ-ტრაფიკი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მიიღონ შეტყობინება მათ მიერ საგზაო მოძრაობის დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ. აპლიკაცია უფასოა. ამ აპლიკაციის წყალობით მომხმარებელს შეუძლია გაიგოს შემდეგი ინფორმაცია: პოლიციის შიდა დოკუმენტის ნომერი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის იმ მუხლის ნომერი, რომელი რომელი მუხკის დარღვევაც მოხდა, ადგილი სადაც მოხდა დარღვევა, საჯარიმო ქულების რაოდენობა, ჯარიმის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა“ (<http://egov.md/ru/usloviya-i-polozheniya-ekspluatatsii-prilozheniya-e-traffic>)

საიტზე არის ასევე რამდენიმე კატეგორია: **მთავრობა ხალხისთვის, მთავრობა ბიზნესისთვის, მთავრობა მთავრობისთვის, მთავრობა ინტერნაციონალისთვის.**

მთავრობა ხალხისთვის მოიცავს შემდეგ სერვისებს: საჯარო სერვისების ერთიანი პლატფორმა, წყლით სარგებლობაზე ნებართვა, M-pay, ელ-მომსახურება, მობილური

ხელმოწერა, მშენებლობის ელექტრონული ნორმატიული აქტები, ადგილობრივი აქტების რეგისტრი, ელ-ცნობა ნასამართლეობის, ელ-ტრაფიკი, ელ-ვიზა, ღია მონაცემების პლატფორმა.

საჭიროა განვიხილოთ თითოეული ეს სერვისი: დავიწყით საჯარო სერვისების ერთიანი პლატფორმით, რომელიც 2012 წლის 10 მაისს გაეშვა და წარმოადგენს ერთიან პლატფორმას, რომელიც განკუთვნილია იმ საჯარო სერვისების მისაღებად, რასაც სახელმწიფო ორგანოები გასცემენ. ეს პორტალი მუშაობს, როგორც ელექტრონული კატალოგი სახელმწიფო სერვისების. პორტალი განკუთვნილია მოქალაქეებისთვის და ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებისთვის. როგორც საიტზე ვკითხულობთ, პლატფორმის ძირითადი მიზანი არის ზუსტი, დეტალური, ხელმისაწვდომი და სრული ინფორმაციის მიწოდება მოლდოვის რესპუბლიკაში არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ (<http://egov.md/ru/projects/edinaya-platforma-dlya-publicnyh-uslug>). საიტზე შესაძლებელია მოძიებულ იქნას მომსახურება, როგორც ელექტრონულ, ასევე კლასიკურ ფორმატში. სტუმრებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია მომსახურების შესახებ, იმ დოკუმენტების სია, რაც საჭიროა მომსახურების მისაღებად, დრო, რაც სჭირდება მიღებას და ღირებულება.

პლატფორმა იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

1. მოქალაქეები (ინფორმაცია, პეტიციები, ფინანსები, გადასახადები, ლიცენზიები და სხვა.)
2. ბიზნესის სფერო (გადასახადები, მოსაკრებელი, ნებართვის დოკუმენტები და სხვა.)
3. ქვეყნის ვიზიტორები (მოლდოვის მოქალაქეობა, შემოსვლა და ყოფნა)
4. ცხოვრებისეული სცენარები (იმიგრაცია, ემიგრაცია, ქონება, ჯანდაცვა და სხვა.)
(<http://egov.md/ru/projects/edinaya-platforma-dlya-publicnyh-uslug>)

პლატფორმა მოქალაქეებს ერთი ფანჯრის პრინციპით საშუალებას აძლევს ისარგებლონ ონლაინ მომსახურებით ხელმისაწვდომი და მარტივი მეთოდით. მათ უკვე აღარ უწევთ მრავალსაათიან რიგებში დგომა. ამჟამინდელი მდგომარეობით პორტალზე 248

სერვისია, აქედან 13 არის ელ-მომსახურება. (<http://egov.md/ru/projects/edinaya-platforma-dlya-publichnyh-uslug>)

წყლით სარგებლობაზე ნებართვა - მომსახურება გაეშვა 2014 წლის 1 აპრილს და მისით სარგებლობა შეიძლება შემდეგ შემთხვევებში:

1. წყლის შეგროვება სასმელი წყლით მომარაგებისთვის.
2. წყლის შეგროვება სამშენებლო და ტექნიკური მიზნებით ასევე აგროკულტურისთვის.
3. სარწყავად გამოყენებისთვის.
4. ნალექების მიერ მოტანილი წყლის გასაწმენდად.
5. ჰიდროელექტროსადურებისთვის გამოსაყენებლად.
6. მეთევზეობისთვის და აკვაკულტურისთვის.

ეს პლატფორმა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მარტივად მიიღონ ნებართვა. მაგალითად,

1. თუ აქამდე 6 თვე სჭირდებოდა ნებართვის მიღებას ეხლა ეს ყველაფერი 30 დღემდე შემცირდა.
2. განცხადების დაწერა უკვე ონლაინ არის შესაძლებელი 24 საათის განმავლობაში, აღარ არის საჭირო დაწესებულებაში მისვლა და ლოდინი.
3. განცხადების შემომტანს საშუალება აქვს ადევნოს თვალყური თუ რა ეტაპზეა მისი განცხადება.
4. შესაძლებელია გაუქმება განცხადების.
5. ნებართვას გაიცემას სახელმწიფო უკოლოგიური ინსპექცია.
6. ნებართვა გაიცემა როგორც ფიზიკურად ასევე ონლაინ. (<http://egov.md/ru/projects/razreshenie-na-specialnoe-vodopolzovanie>)

საინტერესოა მ-ფეი, მოკლედ განვიხილავთ რას მოიცავს ეს სერვისი, Mpay წარმოადგენს ელექტრონული გადახდების სახელმწიფო სისტემას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა მომსახურების საფასურის გადახდა. ეს პლატფორმა ძირითადად გამოიყენება სახელმწიფო მომსახურების ასანაზღაურებლად.

თუმცა კომერციული მიზნებისთვის გამოყენებაც შესაძლებელია.
(<http://egov.md/ru/projects/mpay>)

ელ-მომსახურება სამოქალაქო აქტების შესახებ განკუთვნილია, რომ მოქალაქეებმა მიიღონ ასლი დაბადების მოწმობის, ქორწინების მოწმობის, განქორწინების მოწმობის, გარდაცვალების ცნობის, ასევე გამოწერა აქტების ქორწინების, განწორწინების, დაბადების მოწმობების. (<http://egov.md/ru/projects/e-uslugam-aktov-grazhdanskogo-sostoyaniya>) უპირატესობები არის შემდეგი:

1. ელ-აქტები შესაძლებელს ხდის მონაცემთაუფრო ეფექტურ და უსაფრთხო მართვას.
2. მოქალაქეებს შეუძლიათ გადაიხადონ და მიიღონ მომსახურება სახლიდან გაუსვლელად.
3. მობილური ხელმოწერის და M-pay-ის დახმარებით შესაძლებელია უცხოეთში მყოფმა მოქალაქეებმაც ისარგებლონ მომსახურებით. (<http://egov.md/ru/projects/e-uslugam-aktov-grazhdanskogo-sostoyaniya>)

მობილური ხელმოწერა - აღნიშნული მომსახურება 2012 წლის 14 ნოემბრიდან გაეშვა და გულისხმობს ელექტრონულ მომსახურებებზე წვდომას მობილურის დახმარებით. მობილური ხელმოწერა მოქმედებს როგორც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ვირტუალურ სამყაროში, რომელიც მომხმარებელს აძლევს აუთენტიფიკაციის საშუალებას ვირტუალურ სამყაროში. ამ მომსახურების დახმარებით მომხმარებლებს საშუალება აქვთ ხელი მოაწერონ დოკუმენტებს, ანგარიშებს, დეკლარაციებს. ასევე მარტივი და მოსახერხებელი გზით მიიღონ წვდომა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მომსახურებებზე. მოქალაქეები აღარ არიან შეზღუდულები დაწესებულებების გრაფიკით და შეუძლიათ ისარგებლონ სერვისებით ყველგან და ნებისმიერ დროს (<http://egov.md/ru/projects/mobilnaya-podpis>).

ნორმატიული ელექტრონული დოკუმენტები მშენებლობაში - ეს არის პირველი მომსახურება, რომელიც ინიცირებულია ერთობლივად მოდლოვის მთავრობის, ელექტრონული მმართველობის ცენტრის და რეგიონალური განვითარების და მშენებლობის სამინისტროს მიერ. მომსახურება მოწოდებულია, რომ უზრუნველყოს

მარტივი წვდომა მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და დოკუმენტებზე, მოქალაქეებისთვის, სახელმწიფო მოხელეებისთვის, სფეროს ექსპერტებისთვის. მომსახურება უზრუნველყოფს ზუსტ და საიმედო წვდომას ინფორმაციის წყაროსთან რადგან განახლება ხდება დროის რეალურ რეჟიმში (<http://egov.md/ru/projects/normativnye-elektronnye-dokumenty-v-oblasti-stroitelstva>).

ადგილობრივი აქტების რეესტრი ამოქმედდა 2011 წლის 29 ივლისიდან და მომხმარებელს საიტზე შეუძლია ნახოს ნორმატიული აქტები, რომელიც მიიღო ადგილობრივმა საჯარო დაწესებულებამ. პორტალის უპირატესობები მდგომარეობს შემდეგში:

1. მოქალაქეები მუდმივად არიან ინფორმირებულნი იმ აქტების შესახებ, რაც ადგილობრივმა საჯარო დაწესებულებამ გამოსცა.
2. მათ შეუძლიათ ჰქონდეთ სრული წვდომა აქტების ტექსტზე ყოველგვარი ვიზიტის გარეშე რომელიმე დაწესებულებაში. (<http://egov.md/ru/projects/registr-mestnyh-aktov>)

ნასამართლეობის ელექტრონული ცნობა არის დამადასტურებელი დოკუმენტი, იყო თუ არა ფიზიკური ან იურიდიული პირი ნასამართლევნი ან მის მიმართ თუ იყო გამოყენებული აღმკვეთი ღონისძიებები. მომსახურების გამარტივებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ელექტრონული მმართველობის ცენტრთან ერთად შექმნა ეს სერვისი. მომხმარებლებს შეუძლიათ ონლაინ მოითხოვონ დოკუმენტაცია. ამ მომსახურებას აქვს შემდეგი უპირატესობები:

1. ამარტივებს დოკუმენტის მიღების პროცედურებს.
2. მოქალაქეებს შეუძლიათ მოითხოვონ ცნობა ნებისმერი დროს 24 საათის განმავლობაში.
3. აქ მიღებული ცნობა შეიძლება გაგზავნილ იქნეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. (<http://egov.md/ru/projects/e-spravka-o-nesudimosti>)

ელ-ვიზა - ეს პროექტი 2014 წლის 1 აგვისტოს გაეშვა და პირველად აძლევს საშუალებას მსურველებს ელექტრონულ ფორმატში მოამზადონ დოსიე, რათა მიიღონ მოლდოვას ვიზა. ეს პროექტი წინგადადგმული ნაბიჯია ბიზნესის და ტურიზმის სფეროში. გარდა ამისა, უცხოელი სტუმრები იღებენ სწრაფ, ეფექტურ, მოსახერხებელ და უსაფრთხო მომსახურებას. ვიზის მისაღებად საჭიროა:

1. განცხადების შევსება ელექტრონულ ფორმატში, რომელსაც მიემარება დასკანარებული ფაილები.

დამუშავების შემდეგ ვიზა განმცხადებელს ეგზავნება ელ-ფოსტაზე. ამობეჭდილი დოკუმენტებით ვიზის მფლობელს შეუძლია ესტუმროს მოლდოვას ნებისმიერი სასაზღვრო პუნქტიდან. (<http://egov.md/ru/projects/e-visa>)

ღია მონაცემების პლატფორმა 2011 წლის 14 დეკემბერს ამუშავდა, თავისუფალი წვდომა საჯარო ინფორმაციაზე არის ინიციატივა მთავრობების, სამოქალაქო საზოგადოების, მთელს მსოფლიოში. იმისთვის, რომ არ ჩამორჩენოდა მსოფლიო ტენდენციებს, ელ-მმართველობის ცენტრმა აამუშავა ღია მონაცემთა პლატფორმა, ამით მოლდავის რესპუბლიკის მთავრობა სთავაზობს მოქალაქეებს და კომპანიებს ღია წვდომას საჯარო ინფორმაციაზე. ამ პლატფორმას აქვს შემდეგი უპირატესობები:

1. მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, მათ შორის საცხოვრებლის შეცვლის შესახებ კონკრეტულ რეგიონში რეგისტრირებული კრიმინალური შემთხვევების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით.
2. მოქალაქეებს შეუძლიათ თვალყური ადევნონ როგორ იხარჯება საჯარო ბიუჯეტი ამაში მათ აპლიკაცია BOOST-ი დაეხმარებათ.
3. ღია მონახემების გამოყენება შეიძლება რევილუციურ ცვლილებად იქცეს ჟურნალისტიკაში.
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებმა ეს მონაცემები შეიძლება გამოიყენონ მოქალაქეებისთვის სასარგებლო საინფორმაციო აპლიკაციების შესაქმნელად.

5. ეს ასევე ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს რადგან ბიზნესის წარმომდგენლებს წვდომა ექნებათ კონკრეტულ გადაწყვეტილებებზე. (<http://egov.md/ru/projects/platforma-otkrytyh-dannyh>)

ელექტრონული მმართველობის ცენტრის საიტზე შემდეგი კატეგორია არის **მთავრობა ბიზნესისთვის**. ეს მოიცავს, სახელმწიფო ელექტრონულ შესყიდვებს, ელ-ანგარიშგებს, e-HMCK, ელ-ლიცენზირებას, სახელმწიფო კონტროლის რეესტრს, ECMP.

დავიწყით სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვებით: ბოლო პერიოდში ძალიან გაიზარდა სახელმწიფო შესყიდვების მოცულობა, აქედან გამომდინარე მათი კონტროლი და ანალიზი გართულებულია, ამ სისტემის დახმარებით კი შესყიდვების პროცესი განხორციელდება ელექტრონულ ფორმატში და შესყიდვები მოხდება 24 საათის განმავლობაში ყოველდღიურად. (<http://egov.md/ru/projects/e-gosudarstvennye-zakupki>)

ელექტრონული ანგარიშგების სახელმწიფო მომსახურება შეიქმნა 2012 წლის 1 იანვარს, ის განკუთვნილია იმ ეკონომიკური აგენტებისთვის ვისაც უწევთ ყოველწლიურად დეკლარაციების ატვირთვა. (<http://egov.md/ru/projects/e-otchetnost>)

e-HMCK გაეშვა 2013 წლის 18 თებერვალს და წარმოადგენს თანამედროვე მეთოდს, რომელიც ცვლის ხელით შესრულებად საანგარიშო ფორმულარებს ავტომატიზირებულით. (<http://egov.md/ru/projects/e-nmsk>)

ელექტრონული ლიცენზირება შეიქმნა 2012 წლის 6 ნოემბერს, ელექტრონული მმართველობის ცენტრის და ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომლობით, ლიზენზირების პალატასთან ერთად. ელექტრონულ ლიცენზირება მომხმარებელს სთავაზობს ფართო სპექტრს სპეციალიზირებული ფუნქციების. ლიცენზია შესაძლოა მოთხოვილ იქნეს ელექტრონულ ფორმატში. (<http://egov.md/ru/projects/e-licenzirovanie>)

ელექტრონული კონტროლის სისტემა საშუალებას აძლევს მაკონტროლებელ ორგანიზაციებს მოახდინონ თავიანთი საქმიანობის ავტომატიზირება და მოახდინონ საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება პორტალზე. (<http://egov.md/ru/projects/gosudarstvennyy-reestr-kontrolya>)

2014 წლის 23 დეკემბერს ამუშავებული პლატფორმა ECMP, რაც წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა მომსახურებების დასანერგად. (ECMP. <http://egov.md/ru/projects/ecmp>)

კატეგორია მთავრობა მთავრობისთვის აერთიანებს შემდეგ მომსახურებებს: MConnect, პერსონალურ მონაცემთა რეგისტრი, particip.gov.md, SIGEDIA, M-Cloud.

MConnect, რომელიც ამუშავდა 2014 წლის 7 იანვარს, ამსუბუქებს მონაცემთა გაცვლას სახელმწიფო დაწესებულებებს შორის, ამ პლატფორმის დახმარებით, სამთავრობო სტრუქტურები მონაცემებს ცვლიან დროის რეალურ რეჟიმში. პლატფორმას გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

1. ზრდის საინფორმაციო სისტემების ეფექტურობას.
2. ზრდის სახელმწიფო საშუალებების გამოყენების ეფექტურობას.
3. ზრდის მოქალაქეების კომფორტს.
4. ზრდის უსაფრთხოებას საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო სისტემების.
5. რესურსების გამეორებითი გამოყენება.
6. გაუმჯობესება სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის.
7. ვებ წვდომის გაზრდა.
8. მოხერხებულობა მოქალაქეებისთვის.

(<http://egov.md/ru/projects/mconnect>)

Particip.gov.md გაეშვა 2014 წლის 23 დეკემბერს, რაც გულისხმობს, მოქალაქეების მიერ საკანონმდებლო ინიციატივების და რეფერენდუმების ინიციატივას.

უპირატესობები:

1. თავისი ინიციატივის და აზრის გამოხატვით მოქალაქეებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კანონშემოქმედების პროცესში.
2. მოქალაქეებს ვებ-პორტალის მეშვეობით აქვთ საშუალება მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო ნორმატიული აქტების შესახებ.

(<http://egov.md/ru/projects/participgovmd>)

SIGEDIA არის საპილოტე პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ცენტრალურ მართვას ოფიციალური დოკუმენტების. პროექტის წყალობით ელექტრონული დოკუმენტბრუნვა გახდება უფრო საიმედო.

უპირატესობები:

1. ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება, იმით, რომ აღარ დაიხარჯება თანხები ქაღალდზე და საოფისე ტექნიკაზე.
2. ინფორმაციის და დოკუმენტების გაცვლის პროცესი უფრო სწრაფი გახდება.
3. უფრო მეტი უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა დოკუმენტბრუნვისას.
(<http://egov.md/ru/projects/sigedia>)

მოლდოვის მთავრობა შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობას 2012 წლის აპრილში, მაშინ, როდესაც მიმდინარეობდა ინტენსიურად და სრულყოფილად საჯარო სექტორის რეფორმა და ხელისუფლების ელ-ტრანსფორმაცია. ეს რეფორმა მიზნად ისახავს გამჭვირვალობის გაზრდას, მმართველობის ეფექტურობის და საჯარო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას და ასევე კორუფციასთან ბრძოლას ტექნოლოგიების ძალით. ღია მმართველობის ვალდებულებებით, მოლდოვის მთავრობა მიზნად ისახავს, რომ უზრუნველყოს გამჭვირვალობა სამოქალაქო და საჯარო თანამდებობის პირებს შორის ურთიერთობებში, ასევე კორუფციასთან ბრძოლას და უსარგებლო ბიუროკრატის შემცირებას. (Open Government Partnership p.1 October 2013)

მოლდოვის მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოებასთან ორ თვიანი საჯარო კონსულტაციების შემდეგ, დაამტკიცა ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა 2012 წლის აპრილში. კონსულტაციების შედეგად გამოიკვეთა ამბიციური ვალდებულებები მთავრობისთვის. სამოქმედო გეგმა ორიენტირებული იყო ღია მმართველობის გეგმის ხუთი უდიდესი გამოწვევიდან სამზე: „საჯარო ინტეგრაციის გაუმჯობესება“, „საჯარო რესურსების უკეთესად მართვა“ და „საჯარო მომსახურების მიღების გაუმჯობესება“. აღნიშნული გამოწვევები შერჩეულ იქნა სამოქალაქო საზოგადოებასთან ფართო

დისკუსიების შედეგად, ვინაიდან მიმდინარე მთავრობა ხელს უწყობს გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდას.

თავდაპირველად, სამოქმედო გეგმის პირველი პროექტი შემუშავებულ იქნა მთავრობის მიერ და გადაეცა საჯარო განხილვებისთვის სამოქალაქო საზოგადოებას. თავდაპირველად ინიცირებულ პროექტში შევიდა ბევრი ცვლილება სამოქალაქო სექტორის ხედვიდან გამომდინარე, რომელსაც სურდა მეტი გამჭვირვალობა და ღიაობა. გეგმა განხილული იყო რამდენიმე შეხვედრაზე როგორც საზოგადოებასთან, ასევე საერთაშორისო პარტნიორებთან. ვებ-გვერდმა www.particip.gov.md, ისევე როგორც სოციალურმა მედიამ, გაზარდა ცნობიერება ინციატივაზე, უფრო მეტი ადამიანი ჩართო და ხელი შეუწყო უკუკავშირების შეგროვებას სამოქმედო გეგმის პროექტზე. უკუკავშირების თავმოყრისთანავე, დოკუმენტი განხილულ იქნა ყველა ცენტრარული საჯარო ადმინისტრაციის ორგანოს მიერ და დამტკიცდა მთავრობის მიერ 2012 წლის აპრილში.

მთავრობამ დაისახა სხვადასხვა გამოწვევები შესაძლებლობების, ლიდერობის, ცნობიერების ამაღლების და მზადყოფნის დონეზე ღია მმართველობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პირველ წელს. 2012 წელს და 2013 წლის პირველ ნახევარს შორის 46 ვალდებულებიდან მთავრობამ სრულად დაწერა 18 ვალდებულება, 14 შესრულების პროცესში ან ნაწილობრივ დაწერა და 14 დასაწერა. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 1)

გეგმის პირველი მიზანი იყო მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის უზრუნველყოფით, სამოქალაქო ჩართულობით და მმართველობაში გამჭვირვალობის გაზრდით, საჯარო ინტეგრაციის გაძლიერება, რაც მოიცავდა შემდეგ ვალდებულებებს:

1. გამჭვირვალობის გაზრდა საჯარო ადმინისტრაციის ორგანოების საქმიანობაში და საჯარო ინფორმაციასთან წვდომა.

1.1 მთავარი საჯარო ადმინისტრაციის ორგანოების ოფიციალურ ვებგვერდებთან

დაკავშირებული რეგულაციების და ასევე გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობაზე კანონის შესაბამისი ქმედებების დანერგვასთან დაკავშირებული რეგულაციების შესაძლებლობების გაერთიანება, რეალურ დროსა და საჯარო ინფორმაციის შესაბამის ფორმატში, რაც უკავშირდება საჯარო ინსტიტუტების ქმედებებს.

ვალდებულებაზე პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარიის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მთავარი საჯარო ორგანოები და ის სრულად შესრულდა:

- 2012 წლის მარტში, ჩართულობის პორტალი www.particip.gov.md გაეშვა. ის მოიცავს საჯარო კონსულტაციების პროცესში ჩართულ 22 მთავარი სპეციალიზებული ორგანოს პროექტის ნორმატიული აქტების შეჯამებას.

- სამოქალაქო მოხელეების სამუშაოს აღწერა შეიცვალა ყველა სამინისტროში, შესაბამისად, ის ფუნქციები, რომლებიც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და კონსტრუქციულ დიალოგებს სამოქალაქო საზოგადოებასთან აღწერაში პირდაპირაა აღნიშნული.

- შიდა ბრძანების მიხედვით, თითოეულ ინსტიტუტში ინიშნება ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელია სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობაზე.

- მთავარ საჯარო ორგანოებს აქვთ ცენტრალური მონაცემთა ბაზა დაინტერესებული მხარეებისა, რომელთა ინტერესშიცაა გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ეს გამოქვეყნებულია ვებ-გვერდებზე და რეგულარულად განახლებადია. ასევე, „ეროვნული საბჭო ჩართულობისთვის“-ს წარმომადგენლები არიან წევრები 33-მდე ჯგუფის/ სახელმწიფო ორგანოების მიერ დაარსებული საკონსულტაციო საბჭოების. საბჭოები ხელს უწყობენ გადაწყვეტილებებში გამჭვირვალობის დონის გაზრდას, ინფორმაციის მიწოდებას, დაინტერესებული მხარეების კონსულტირებას და აქტიურ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და კანონმდებლობის პროექტირების განვითარებაში. ამ კონტექსტში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები არიან წახალისებული, რომ ითანამშრომლონ პირდაპირ საჯარო ინსტიტუტებთან პოლიტიკის შემუშავებაში. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 6)

1.3 მთავარ საჯარო ორგანოების ვებგვერდებზე „გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობის“ მოდულში, მონაწილეობით გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის რეგულარული განახლება და გამოქვეყნება. ვალდებულებაზე პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარიის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მთავარი საჯარო ორგანოები. ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა: გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობაზე კანონისშესაბამისად, მთავარი მექანიზმი საჯარო კონსულტაციების უზრუნველყოფისთვის არის მთავარსაჯარო ორგანოების ოფიციალური ვებგვერდი, რომელსაც გააჩნია ცალკე მოდული „გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობაზე“. საჯარო ორგანოების ორმა მესამედმა გამოაქვეყნა თავიანთი ანგარიშები გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამჭვირვალობაზე 2012 წელში. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 6)

1.4 მთავარი საჯარო ადმინისტრაციის ორგანოების ოფიციალურ ვებგვერდებზე გარემოს დაცვასა და ხარისხზე ინფორმაციის გამოქვეყნება და რეგულარული განახლება და ამ ინფორმაციის გადაცემა გარემოს დაცვის სამინისტროსთვის. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარიის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მთავარი საჯარო ორგანოები, ვალდებულება არ შესრულდა. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 7)

1.5 გარემოს დაცვასა და ხარისხზე ინფორმაციის გამოქვეყნებაზე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს განვითარება, რაზეც პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარია და გარემოს დაცვის სამინისტრო, არ შესრულდა. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.7)

1.6 საჯარო დაწესებულებების ელ-ფოსტის სისტემის რეგულაციებში შესწორების შეტანა, რომელიც ითვალისწინებს სხვა ელ-ფოსტის ანგარიშების აკრძალვას, გარდა

ექსკლუზიური სამთავრობო ელ-ფოსტის ანგარიშებისა. პასუხისმგებელი იყო ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სამინისტრო და სახელმწიფო კანცელარია და ვალდებულება სრულად შესრულდა: ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი „მთავრობის გადაწყვეტილება“ საჯარო ადმინისტრაციის ელ-ფოსტის სისტემასთან დაკავშირებით, რომელიც დამტკიცდა მთავრობის გადაწყვეტილებით 2012 წლის ნოემბერში. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 7)

1.7 საჯარო ადმინისტრაციის ელ-ფოსტის სისტემის რეგულაციებისგადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, საჯარო მოხელეების მიერ შიდა და გარე კომუნიკაციისთვის სამთავრობო ელ-ფოსტის გამოყენების ვალდებულების უზრუნველყოფა. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარია, ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა: 2013 წლის ივნისისთვის, 62 საჯარო ინსტიტუტს, მათ შორის 12 სამინისტროს ხელი მიუწვდებოდა 5089 ოფიციალურ სამთავრობო ელ-ფოსტის ანგარიშზე. ამ ანგარიშების 60% აქტიური იყო 2013 წლის პირველი ნახევარის ბოლო 90 დღეში. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 8)

1.8 საჯარო სექტორის ინფორმაციის გამოქვეყნებაზე წლიური ანგარიშის შემუშავება და გამოქვეყნება ვებგვერდზე. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარიის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მთავარი საჯარო ორგანოები. ვალდებულება არ შესრულდა. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 8)

1.9 საჯარო კონსულტაციის პროცესის სტიმულირება საჯარო ადმინისტრაციული ორგანოების დავალდებულებით, რომ განათავსონ პოლიტიკის და საკანონმდებლო პროექტები ვებ-გვერდზე www.particip.gov.md, ინფორმაცია იმ პერიოდზე და საჯარო კონსულტაციების ფორმატზე. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარიის

ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მთავარი საჯარო ორგანოები. ვალდებულება სრულად შესრულდა: 2012 წელს, 426 პოლიტიკის და საკანონმდებლო პროექტი გამოქვეყნდა ვებ-გვერდზე www.particip.gov.md . 2013 წლის პირველ ნახევარში 211 ასეთივე დოკუმენტი გამოქვეყნდა.

აღნიშნული ვალდებულებები მიეკუთვნება, როგორც ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსებს, ასევე ელექტრონული ჩართულობის განვითარების ინდექსებს.(Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 8)

2. ონლაინ პეტიციის პლატფორმის - www.petiti.gov.md შექმნა.

2.1 მოდიფიკაცია სამართლებრივი ჩარჩოსი, რომელიც უკავშირდება შუამდგომლობას, რომ დაარეგულიროს ელექტრონულ ფორმატში მთავარი საჯარო ადმინისტრაციის ორგანოებისთვის მიმართული პეტიციების წარდგენის, მიღების, შემოწმების და მოგვარების პროცედურები და მექანიზმები. ვალდებულებაზე პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარია და იუსტიციის სამინისტრო; არ შესრულდა.(Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 9)

ვალდებულება მიეკუთვნება ელ-ჩართულობის ინდექსს.

3. ღია მმართველობის მონაცემთა პორტალში - www.data.gov.md ყველა სამთავრობო მონაცემის ერთ ფანჯარაში გაერთიანების შემუშავება და საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახლა გამოყენების უზრუნველყოფა.(Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.9)

3.1 კანონპროექტი საჯარო ინფორმაციის ხელახლა გამოყენებაზე. პასუხისმგებელი იყო ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სამინისტრო და სახელმწიფო კანცელარია. ვალდებულება სრულად შესრულდა (Self-Assessment report on the Open

Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p 9)

3.2 საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელხლა გამოყენებაზე კანონის დანერგვაზე სამთავრობო გადაწყვეტილების პროექტირება, რაზედაც პასუხისმგებელი იყო ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიების სამინისტრო და სახელმწიფო კანცელარია; ვალდებულება სრულად შესრულდა. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p 9)

3.3 მთავრობის პრიორიტეტული მონაცემების გახსნა, არსებული სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაცვის ჩათვლით. ვალდებულებაზე პასუხისმგებელი იყო მთავარი საჯარო ადმინისტრაციის ორგანოები სახელმწიფო კანცელარიის ზედამხედველობის ქვეშ, სრულად შესრულდა: ღია მმართველობის სამოქმედო გეგმა გამოქვეყნდა სამთავრობო მონაცემთა პორტალზე (<http://data.gov.md/raw/1012>) (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p 9)

3.4 თითოეული საჯარო ორგანოს მიერ საჯარო სამთავრობო მონაცემთა კატალოგის შემუშავება, ყველა თავდაპირველი მონაცემის ტიპების მითითებით, რომელიც შეიძლება განთავსდეს პორტალზე - data.gov.md. კატალოგი განთავსდება კონკრეტული ორგანოს ვებ-გვერდზე. პასუხისმგებელი იყო მთავარი საჯარო ადმინისტრაციის ორგანოები სახელმწიფო კანცელარიის ზედამხედველობის ქვეშ, ნაწილობრივ შესრულდა: 15-მა საჯარო ინსტიტუტმა, მათ შორის 10-მა სამინისტრომ შეიმუშავა ღია მონაცემთა კატალოგი. ყველა მიღებული ფაილი გაერთიანდა ერთ საჯარო სამმართველო მონაცემთა კატალოგში (<http://data.gov.md/raw/category/398>) და გამოქვეყნდა ღია სამთავრობო მონაცემთა პორტალზე. კატალოგი რეგულარულად განახლებადია, როდესაც ახალი მონაცემები მიიღება. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.10)

3.5 ღია მონაცემთა პორტალის ინტერფეისის ტექნოლოგიურად გაფართოება,

იმისათვის, რომ ადგილობრივმა საჯარო ორგანოებმა განათავსონ თავიანთი მონაცემები. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარია, სრულად შესრულდა: ვებ-გვერდი data.gov.md ადგილობრივ ორგანოებს სთავაზობს მონაცემთა პორტალში ინტეგრაციის შესაძლებლობას. 2012 წელს, საჯარო ორგანოებისგან პორტალში ინტეგრაციზე არცერთი მოთხოვნა არ მიღებულა. პორტალი ამჟამად განახლებულია ახალი ვერსიით, რომელიც გულისხმობს გაფართოებულ ინტერფეისს, რომელიც საჭიროა ადგილობრივი ორგანოების მონაცემების პორტალში ჩასართავად. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 10)

3.6 გეოსივრცით მონაცემთა პორტალზე (www.geoportal.md) საჯარო ორგანოების და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოების ადგილმდებარეობაზე ინფორმაციის განთავსება. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარიის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მთავარი საჯარო ადმინისტრაციის ორგანოები მიწის და საკადასტრო სააგენტოსთან თანამშრომლობით. ვალდებულება სრულად შესრულდა: ყველა სამინისტრომ განათავსა თავიანთი მისამართები პორტალზე. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 10)

3.7 ორგანიზებული შეჯიბრებებით, ტრენინგებით, სპეციალური ვორქშოფებით იმ აპლიკაციების შემუშავების ხელშეწყობა, რომლებიც ხელს შეუწყობს ღია მმართველობის გაგებას და გამოყენებას. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარია. სრულად შესრულდა: 2012 წლის მაისში ორგანიზება გაუკეთდა „ღია ინოვაციების კვირეულს“, მოიცავდა ღია მონაცემთა აპლიკაციების შემუშავებას, სადაც წარმოდგენილი იქნა 26 აპლიკაციის იდეა. ამ კვირეულის ფარგლებში ორგანიზებული იქნა მეტი ღონისძიება რომელიც ხელს შეუწყობდა ცნობიერების ამაღლებას და ღია

სამთავრობო მონაცემთა გამოყენებას.

- მონაცემთა ჟურნალისტიკა - 74 მონაწილე

- BOOST ტრენინგი - 65 მონაწილე

- „ჭკვიანი მთავრობის დღე“ – 157 მონაწილე

- აპლიკაციების კონკურსი - 105 მონაწილე

2012 წლის დეკემბერში მოლდოვის რესპუბლიკის მთავრობამ მიმართა მსოფლიო ბანკს, რომ შეერთებოდა „გლობალურ პარტნიორობას სოციალური ანგარიშვალდებულებისთვის“, ამგვარად სამოქალაქო საზოგადოებას აძლევდა შესაძლებლობას მიეღო სარგებელი გრანტებიდან რომელიც მხარს უჭერს პროექტებს გამჭვირვალობაში, სოციალურ ანგარიშვალდებულებაში და საჯარო სერვისის ხარისხის მონიტორინგში, ისევე როგორც იმ აპლიკაციების შექმნა, რომელიც ბოლომდე აითვისებს ღია მონაცემებს. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p. 10)

3.8 შერჩეული აპლიკაციების იმპლემენტაცია. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარია. ვალდებულება სრულად შესრულდა: ღია მონაცემთა აპლიკაციების შეჯიბრის“ შედეგად, ერთი აპლიკაცია - SocialTools - სრულად დაინერგა და გაეშვა. დამატებით, ელექტრონული მმართველობის ცენტრი არის საინფორმაციო პარტნიორი BudgetStories პროექტის, რომელიც მიზნად ისახავს ინფოგრაფიკის შექმნას, ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით ბიუჯეტის ხარჯების შესახებ, საჯარო ცნობიერების ამაღლებისთვის. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p 11)

3.9 ეროვნული სტანდარტების შექმნა მონაცემთა ციფრულ ფორმატში შეგროვება, შენახვა და გამოქვეყნებისთვის. პასუხისმგებელი იყო ინფორმაციის და კომუნიკაციების ტექნოლოგიების სამინისტრო და მთავარი საჯარო ადმინისტრაციის ორგანოები, არ შესრულდა. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p 11)

3.10 შესყიდვების მონაცემების ციფრული არქივის აპლიკაციების შემუშავება და გაშვება, იმისთვის, რომ გაიზარდოს ასეთი მონაცემებით სარგებლობის შესაძლებლობა.

პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან თანამშრომლობით, ვალდებულება არ შესრულდა. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p 11-12)

ეს ვალდებულებები კავშირშია ელ-მმართველობის განვითარების ინდექსის კომპონენტებთან.

4 . უფროსი თანამდებობის პირების, მოსამართლეების, პროკურორების და სამოქალაქო მოხელეების შემოსავლებსა და ქონებაზე ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p 12

4.1 უფროსი თანამდებობის პირების, მოსამართლეების, პროკურორების და სამოქალაქო მოხელეების შემოსავლებისა და საკუთრების დეკლარაციების ონლაინ წარდგენის შესაძლებლობის გაზრდა. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარია და ინტეგრაციის ეროვნული კომისია. ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა: ინტეგრაციის ეროვნულმა კომისიამ შეიმუშავა და წარადგინა კანონპროექტი გარკვეული ოფიციალური დოკუმენტების დასრულება-მოდულიზაციაზე, მათ შორის იმ დოკუმენტების, რომლებიც ეხება ინტეგრაციის ეროვნული კომისიის ფუნქციონირებას და დაქვემდებარებული მოხელეების საქმიანობის დეკლარირების რეგულაციას. კანონპროექტი დაიტესტა მაგრამ არ დამტკიცებულა. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p 12)

4.2 ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის შემუშავება, ინსტალაცია და გაშვება საჯარო თანამდებობის პირების შემოსავლის განცხადებების ონლაინ შევსებისთვის. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარია და ინტეგრაციის ეროვნული კომისია. ვალდებულება არ შესრულდა. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.12)

აღნიშნული ვადებულება კავშირშია ელექტრონული ჩართულობის განვითარების ინდექსის კომპონენტებთან.

5. სოციალურ ქსელში აქტივობის ხელშეწყობა მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ეფექტური კომუნიკაციისთვის, მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობისთვის. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.13)

5.1 საჯარო სექტორში სოციალური მედიის გამოყენების სახელმძღვანელოების განვითარება. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარია და ელ - მმართველობის ცენტრი. ვალდებულება სრულად შესრულდა: საჯარო სექტორში სოციალური მედიის გამოყენების სახელმძღვანელოები წარმოადგენს საჯარო ინსტიტუტების ყოველდღიური აქტივობების სოციალური პლატფორმის გამოყენებაზე დეტალურ ინფორმაციას. ეს დოკუმენტი არის დამხმარე სამინისტროებისთვის და ასახავს შიდა პროცედურებს სოციალური მედიის ქსელების გამოყენების მართვაზე.(Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.13)

5.2 იმ სამოქალაქო მოხელეების დატრენინგება, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კომუნიკაციაზე (მათ შორის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები), სოციალური მედიის ბიზნესისთვის ეფექტურ და ეფექტიან გამოყენებაზე. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.13)

პასუხისმგებელი იყო ცენტრალური და ადგილობრივი საჯარო ადმინისტრაციის ორგანოები, ელექტრონული მმართველობის ცენტრი სახელმწიფო კანცელარიის ზედამხედველობის ქვეშ. ვალდებულება სრულად შესრულდა: 2012 წლის მარტში, ელექტრონული მმართველობის ცენტრის და ალბანეთის უნივერსიტეტის (University of

Albany, New York) ცენტრის - „ტექნოლოგია მთავრობაში“ - ორგანიზებით, ცენტრალური მთავრობის 21-მა საკომუნიკაციო კოორდინატორმა გაიარა ტრენინგი მთავრობაში სოციალური მედიის ქსელის გამოყენებაზე.

9. საჯარო შესყიდვების გამჭვირვალობის გაზრდა. საჯარო სექტორში ელ-შესყიდვების იმპლემენტაცია.

9.2 ელექტრონული საინფორმაციო სისტემის - „სახელმწიფო შესყიდვების საჯარო რეესტრი“ - შემუშავება და გაშვება. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, სრულად შესრულდა: პლატფორმა არის პირველი ნაბიჯი საჯარო შესყიდვების გაციფრულების პროცესში. ახალი სისტემა უფრო ეფექტურს, გამჭვირვალეს და კონკურენტუნარიანს ხდის მექანიზმს. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.16)

9.3 შესაფერისი საჯარო მოხელეების, როგორც ელ-შესყიდვების სისტემის მომხმარებლების დატრენინგება. ვალდებულებაზე პასუხისმგებელი იყო საჯარო შესყიდვების სააგენტო, სრულად შესრულდა: 2012 წელს, საჯარო შესყიდვების სააგენტოს ორგანიზებით, ჩატარდა 58 ტრენინგი ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე 2178 საჯარო მოხელის მონაწილეობით. 2013 წლის პირველ ნახევარში ორგანიზებულ იქნა 12 ტრენინგი ადგილობრივ დონეზე, რომელშიც მონაწილეობდა საჯარო სკოლების 1466 დირექტორი და ბუღალტერი. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.16)

9.6 შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამართლებრივ ჩარჩოებში ელექტრონული შესყიდვებისთვის. პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო და სახელმწიფო კანცელარია. ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა: ელექტრონული შესყიდვების სამართლებრივი ჩარჩო შემოწმდება და საჭირო ცვლილებები შევა 2013 წლის მეორე ნახევარში. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.17)

მიზანი 3: საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება.

10. საჯარო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება აღნიშნული სერვისის ხელახლა ფორმირებით და ოპტიმიზაციით.(Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.17)

10.1 საჯარო სერვისების სიის პროექტირება და დამტკიცება. ამ ვალდებულებაზე პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო კანცელარია, ნაწილობრივ შესრულდა: საჯარო სერვისების სრული სია ჯერ არ დამტკიცებულა, თუმცა სრული ინფორმაცია 300მდე საჯარო სერვისის, გამოქვეყნებულია საჯარო სერვისების სამთავრობო პორტალზე www.servicii.gov.md . მოქალაქეებს და კერძო სექტორს შეუძლიათ მოიძიონ დეტალური ინფორმაცია სერვისებთან დაკავშირებით და ასევე მიმართონ ელექტრონული სერვისის მისაღებად ონლაინ. (Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova. (2013) p.17)

3.2 საქართველოს გამოცდილება

საქართველოში ელ-მმართველობის განვითარების ისტორიას ზემოთ უკვე შევეხეთ, ამ თავში ღია მმართველობის სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის ანალიზს დავუთმობთ ყურადღებას. დავიწყოთ 2012-2013 წლების ანგარიშით - როგორც შესავალში ვკითხულობთ: „ გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა მონაწილეობა, ტექნოლოგია და ინოვაცია-ღია მმართველობის პარტნიორობის ძირითადი პრინციპები, საქართველოს მთავრობის მთავარი ღირებულებებია. მოწინავე ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, საქართველო მიზნად ისახავს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას, მოქალაქეთა გაძლიერებას, გამჭვირვალობითა და ანგარიშვალდებულებით კი მთავრობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას“. (ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში,გვ.3). როგორც ვხედავთ ამ

გეგმაში გამოყენებული მიზნები და მიდგომები ეხმიანება ელ-მმართველობის პრინციპებს. ბევრი ვალდებულება ამ გეგმაში კი პირდაპირ კავშირშია ელ-მმართველობასთან. პირველი ვალდებულება, რომლითაც ანალიზს დავიწყებთ არისადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობა, რომელიც სამოქმედო გეგმაში ასეა აღწერილი: „საქართველოს მიზანია მოქალაქეებს ჰქონდეთ წვდომა ინოვაციურ საჯარო სერვისებზე, როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე, პატარა სოფლებშიც კი. შესაბამისად, საქართველო იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

ა) მუნიციპალიტეტები თანდათანობით ჩაერთვებიან ელექტრონული მმართველობის სისტემაში. ისინი გააუმჯობესებენ მენეჯმენტსა და მომსახურებას გამარტივებული პროცედურების დანერგვით. გარდა ამისა, მათ ექნებათ პირდაპირი წვდომა სხვადასხვა მონაცემთა ბაზაზე.

ბ) სოფლის განვითარების ცენტრები აშენდება შედარებით მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მქონე შორეულ სოფლებში. ეს არის ახალი კონცეფცია, რომელიც მოსახლეობას შესთავაზებს, როგორც ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებას, ასევე კერძო სექტორის მნიშვნელოვან სერვისებს.“ (ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ.18). ეს მჭიდრო კავშირშია ელ-ჩართულობის განვითარების ინდექსთან და მოიცავს სამივე მის კომპონენტს, ასევე ეს ვალდებულება შეიძლება მივაკუთვნოთ ელ-მმართველობის განვითარების ინდექსსაც განსაკუთრებით კი მის შემდეგ კომპონენტებს: ონლაინ სერვისების განვითარების და ადამიანური კაპიტალის ინდექსი. ეს ვალდებულება იმ წლებში ნაწილობრივ შესრულდა.

შემდეგი ჩვენთვის საინტერესო ვალდებულებაა მოქალაქის პორტალი, გეგმაში ეს შემდეგნაირადაა აღწერილი: „ საჯარო მომსახურების მიღება შესაძლებელი იქნება ონლაინ. საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის შეიქმნება ინდივიდუალური ვებ-სივრცე, სადაც მოქალაქე საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მოახდენს ID ბარათით და ელექტრონულად შეძლებს საჯარო მომსახურების მიღებას. ვალდებულება სრულად

შესრულდა. ეს ვალდებულება ეხმიანება ელ-მმართველობის ინდექსს და მის კომპონენტს ონლაინ სერვისების ხარისხი.

DATA.GOV.GE, ICHANGE.GE - საჯარო ინფორმაციის პორაქტიული გამოყენება, ეს ვალდებულება ემსახურებოდა შემდეგ მიზანს: „კარგად ინფორმირებული მოქალაქე ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალაა. შესაბამისად, იგეგმება საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება საჯარო დაწესებულებათა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. შექმნება საჯარო ინფორმაციის ერთიანი მონაცემთა ბაზა: data.gov.ge, რომელზეც თემატური სექციების ქვეშ განთავსდება საჯარო ინფორმაცია. ამავე ვებ-გვერდზე მოქალაქეები შეძლებენ ელექტრონული ფორმით გამოითხოვონ საჯარო ინფორმაცია.“ ასევე ამ გეგმის მიხედვით უნდა შექმნილიყო პორტალი: ichange.ge „რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები შეძლებენ საკუთარი აზრის, კრიტიკის, იდეის დაფიქსირებას“ (ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ.25). ეს ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა. 2012 წლის ოქტომბრისთვის www.data.gov.ge ვებ-გვერდი მზად იყო, თუმცა სრულად არ ფუნქციონირებდა, ხოლო ichange.ge ამუშავებულაც არ იყო. ეს ვალდებულებები ელ-ჩართულობის ინდექსზე ახდენენ გავლენას და მისი შეუსრულებლობა აისახება ინდექსის ზრდასა თუ კლებაზე.

საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების პროცესში მონაწილეობა - ეს ვალდებულება ითვალისწინებდა, რომ მოქალაქეებს მისცემოდათ საშუალება საქართველოს „საკანონმდებლო მაცნის“ ვებ-გვერდის(www.matsne.gov.ge) სპეციალური მოდულის საშუალებით ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის ან კანონპროექტის ნებისმიერ მუხლთან დაკავშირებით დაეწერათ კომენტარი, გამოეთქვათ კრიტიკა, შეფასებები და შეეთავაზებინათ სახელმწიფოსთვის უკეთესი რეგულირება. ეს ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა. ეს ვალდებულებაც ელ-ჩართულობის ინდექსთან და მის კომპონენტებთანაა კავშირში. (ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ.31)

სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა - ანგარიშის მიხედვით „2003 წლის შემდეგ დაინერგა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა

www.procurement.gov.ge. სახელმწიფო შესყიდვები და თავად ვაჭრობის პროცესი მიმდინარეობს ელექტრონულად და ღია ყველასათვის. სრულად ურზურველყოფილია შეჯიბრებითობა. სახელმწიფო ელექტრონულ სისტემასა და ელექტრონულ ვაჭრობას მიმართავს გაყიდვების განხორციელების დროსაც: www.eauction.ge . პრინციპები იგივეა: სრული გამჭვირვალობა, ხელმისაწვდომობა და თანაბარი კონკურენციის პირობები(ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, გვ.35) ეს ვალდებულება ელ-მმართველობის ინდექსთან და მისკომპონენტთან - ელექტრონული სერვისების მიწოდების ხარისხთანაა კავშირში. ეს ვალდებულება უმეტესად შესრულდა.

ელექტრონული დეკლარაციების სისტემა, რომელიც განკუთვნილია თანამდებობის პირთათვის, იმისთვის, რომ მათ ელექტრონულ ფორმატში გამოაქვეყნონ საკუთარი ქონებრივი დეკლარაციები. სახელმწიფო იმ წლებში ვალდებულებას იღებდა დაეხვეწა არსებული სისტემა და მონიტორინგის მექანიზმი ვალდებულება უმეტესად შესრულდა. (ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში,გვ.38). ეს ვალდებულება ელ-ჩართულობის კომპონენტის ელ-ინფორმაციის შემადგენელი ნაწილია.

ელ-მმართველობის და ელ-ჩართულობის ინდექსების გასაზომად საინტერესოა კიდევ ერთი ვალდებულება - უსაფრთხოებაზე ზრუნვა ტექნოლოგიით: სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოება და ელექტრონული სტატისტიკა, დანაშაულის რუკა,უსაფრთხო უბანი. „2011 წელს შეიქმნა სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოების ინტეგრირებული სისტემა- ICCMS, რომელმაც სისხლის სამართლის საქმისწარმოება გახადა სრულად ელექტრონიზებული, სადაც ყველა მტკიცებულება ელექტრონულია. პროგრამის დახვეწის მიზნით, საქართველოს მთავრობამ, აიღო ვალდებულება შეექმნა დანაშაულთა ელექტრონული სტატისტიკა, რომელიც დაეფუძნება სისხლის სამართლის ელექტრონული წარმოების პროგრამას, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა სისრულესა და ასპროცენტთან სიზუსტეს(ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში,გვ.41). ეს ვალდებულება 2012-2013 წლების ანგარიშში

განხორციელების პროცესში იყო. ის ელ-მმართველობის განვითარების ინდექსთან არის კავშირში.

გადავიდეთ 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშზე: სამოქმედო გეგმით აღებული იყო 27 ვალდებულება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ყველა ეს ვალდებულება არ არის ნაშრომისთვის საინტერესო, მხოლოდ ისინი რომლებიც კავშირშია ელ-მმართველობის და ელ-ჩართულობის ინდექსის კომპონენტებთან.

დავიწყით მოქალაქის პორტალის განვითარების ვალდებულებით: ანგარიშში მისი აღწერა შემდგენარია: „მოქალაქის პორტალის (www.mygov.ge) მეშვეობით შესაძლებელია საჯარო მომსახურების მიღება, ონლაინ და საჯარო დაწესებულებასა და მოქალაქეს შორის ელექტრონული კომუნიკაცია. 2013 წლისათვის პორტალზე ინტეგრირებული იყო 60-მდე სახელმწიფო სერვისი და 80-მდე კომუნალური გადასახადი. პორტალს აქვს ბიზნესის ონლაინ რეგისტრაციის მოდული. გარდა ამისა მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს ელექტრონულად გააგზავნოს წერილი სახელმწიფო უწყებაში და ელექტრონულადვე მიიღოს პასუხი“ (2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში, გვ.8). როგორ ვხედავთ, ეს ვალდებულება ელექტრონული მმართველობის ინდექსზე გავლენას ახდენს, მისი შესრულება დაკავშირებულია ონლაინ სერვისების ხარისხის კომპონენტთან. ვალდებულება ნაწილობრივ შესრულდა.

საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში - რომ გავიგოთ უფრო დეტალურად რას ნიშნავს ეს ვალდებულება გავეცნოთ მის მოკლე აღწერას: „საზოგადოებრივი ცენტრი ასრულებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის სერვისების მიწოდების, ისე საზოგადოების ჩართულობის და გააქტიურების ფუნქციას, ცენტრები აღჭურვილია თანამედროვე მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით. ამ ვალდებულების მიზანია,“ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევა, სოფლის დონეზე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე, კერძო სექტორის ძირითად სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა“ (2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში, გვ.9). როგორც ვხედავთ, ეს ვალდებულება

თავისი მიზნებით შეიძლება მოვითავსოთ როგორც ელ-მმართველობის ინდექსის, ასევე ელ-ჩართულობის ინდექსის კატეგორიაშიც, რადგან ის ონლაინ სერვისების მიწოდებასაც გულისხმობს და მოქალაქეების ჩართულობის გაზრდასაც. ეს ვალდებულება სრულად შესრულდა.

ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმართველობებში - აღნიშნული ვალდებულება წინა ანგარიშიდანაც გვახსოვს, ამიტომ მის აღწერაზე აღარ შევჩერდებით, აღვნიშნავთ, რომ ამ ანგარიშში ვალდებულება უმეტესწილად შესრულებულადაა მიჩნეული.

რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის გზით - „თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე წვდომა მთელი საქართველოს მასშტაბით ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება. ციფრული დაყოფის აღმოფხვრის ინოვაციური მეთოდია საჯარო ბიბლიოთეკების გამოყენება ახალი დანიშნულებით: ტრადიციულ ფუნქციებთან ერთად, საჯარო ბიბლიოთეკები შეიძენს საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქციებს. საზოგადოებრივ ცენტრებთან ერთად საჯარო ბიბლიოთეკები იქნება დამატებითი საშუალება სოფლის მოსახლეობისა და ადგილობრივ თვითმართველობის შესაძლებლობების გაზრდის ხელშესაწყობად“. ამ ვალდებულების მიზანია: „საჯარო ბიბლიოთეკების ახლებული კონცეფციის შემუშავება, რომელიც ბიბლიოთეკის ტრადიციულ ფუნქციებთან ერთად უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის უფასო წვდომას ინფორმაციულ-ტექნოლოგიებზე და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ინიციატივების გამოვლენას და განვითარებას“ (2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში, გვ.12). აღწერიდან და მიზნებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ვალდებულება მოიცავს როგორც ელ-მმართველობის ინდექსს, ისე ელ-ჩართულობის ინდექსსაც. ვალდებულება სრულად შესრულდა.

ციფრული ხელმოწერა და ონლაინავთენტიფიკაცია: „საქართველოში საიდენტიფიკაციო სერვისების განვითარების მიზნით სამოქმედო გეგმის ფარგლებში სსიპ-სახელწმიფო სერვისების განვითარების სააგენტო იმუშავებს ორი ძირითადი მიმართულებით:

1. **ონლაინ ავთენტიფიკაციის სისტემების განვითარების ხელშეწყობა** პირადობის ელექტრონული მოწმობისა და მასში რეალიზებული უსაფრთხო ავთენტიფიკაციის მექანიზმების გამოყენებით.
2. **ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის განვითარება** საქართველოში, რაც მიზნად ისახავს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემების განვითარებას ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის (ციფრული ხელმოწერა ორგანიზაციის სახელით) მექანიზმების შექმნისა და დახვეწის გზით.

ამ ვალდებულების მიზანს კი წარმოადგენდა: „ძლიერი, სანდო და უნივერსალური ავთენტიფიკაციის სისტემების განვითარება ონლაინ მომსახურებისთვის, ციფრული ხელმოწერისა და შტამპის განვითარება ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში. (2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში, გვ.13-14) ვალდებულება ონლაინ სერვისების ხარისხის კომპონენტს მიეკუთვნება და ის უმეტესწილად შესრულდა.

2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში გადმოინაცვლა ასევე ღია მონაცემთა პორტალის შექმნამ, რომლის მიზანია: „ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ელექტრონული სერვისების პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების ხელშეწყობა, ბიზნეს აქტივობების სტიმულირება, საჯარო სექტორის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა“ (2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში, გვ 15).

ასევე ამ გეგმაში გადმოინაცვლა პორტალ ichange.ge-ს გაშვებამ და ამ მხრივაც არ შეინიშნებოდა პროგრესი.

ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა საჯარო სამსახურში, რომელიც გულისხმობს „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის დახვეწას საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვის გზით“ (2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში, გვ.24). ვალდებულება სრულად შესრულდა.

3.3 ქართული და მოლდავური გამოცდილების შედარებითი ანალიზი

საქართველოში 2010 წლიდან დაიწყო ელ- მმართველობის დანერგვისკენ ნაბიჯების გადადგმა. შეიქმნა მონაცემთა გაცვლის სააგენტო. საქართველო ერთ-ერთი პირველი შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობას 2011 წელს, ხოლო 2012 წლის 17 აპრილს წარადგინა პირველი სამოქმედო გეგმა, ასევე მოლდოვამ 2012 წლის აპრილში გამოაქვეყნა პირველი სამოქმედო გეგმა. მოლდოვის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმა ორიენტირებული იყო ღია მმართველობის გეგმის ხუთი უდიდესი გამოწვევიდან სამზე: „საჯარო ინტეგრაციის გაუმჯობესება“, „საჯარო რესურსების უკეთესად მართვა“ და „საჯარო მომსახურების მიღების გაუმჯობესება“. ხოლო საქართველოს იმავე წლის სამოქმედო გეგმა პასუხობდა შემდეგ გამოწვევებს: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საზოგადოების ჩართულობის გაზრდა, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა. საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმიდან ნაშრომისთვის მნიშვნელოვანი იყო შემდეგი ვალდებულებები: ელექტრონული მმართველობა ადგილობრივ თვითმმართველობებში, მოქალაქის პორტალი, DATA.GOV.GE, ICHANGE.GE, საჯარო ინფორმაციის პორაქტიული გამოყენება, საკანონმდებლო ხელისუფლების განხორციელების პროცესში მონაწილეობა, სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა, ელექტრონული დეკლარაციების სისტემა, უსაფრთხოებაზე ზრუნვა ტექნოლოგიით: სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონული წარმოება და ელექტრონული სტატისტიკა, დანაშაულის რუკა, უსაფრთხო უბანი. ხოლო მოლდოვის რესპუბლიკის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმიდან ნაშრომისთვის ამოირჩა შემდეგი ვალდებულებები:

1. გამჭვირვალობის გაზრდა საჯარო ადმინისტრაციის ორგანოების საქმიანობაში და საჯარო ინფორმაციასთან წვდომა,
2. მთავარ საჯარო ორგანოების ვებგვერდებზე „გადაწყვეტილების მიღების გამჭვირვალობის“ მოდულში, მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის რეგულარული განახლება და გამოქვეყნება,

3. მთავარი საჯარო ადმინისტრაციის ორგანოების ოფიციალურ ვებგვერდებზე გარემოს დაცვასა და ხარისხზე ინფორმაციის გამოქვეყნება და რეგულარული განახლება და ამ ინფორმაციის გადაცემა გარემოს დაცვის სამინისტროსთვის,
4. გარემოს დაცვასა და ხარისხზე ინფორმაციის გამოქვეყნებაზე მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს განვითარება,
5. საჯარო დაწესებულებების ელ-ფოსტის სისტემის რეგულაციებში შესწორების შეტანა, რომელიც ითვალისწინებს სხვა ელ-ფოსტის ანგარიშების აკრძალვას, გარდა ექსკლუზიური სამთავრობო ელ-ფოსტის ანგარიშებისა.
6. საჯარო ადმინისტრაციის ელ-ფოსტის სისტემის რეგულაციების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, საჯარო მოხელეების მიერ შიდა და გარე კომუნიკაციისთვის სამთავრობო ელ-ფოსტის გამოყენების ვალდებულების უზრუნველყოფა.
7. საჯარო სექტორის ინფორმაციის გამოქვეყნებაზე წლიური ანგარიშის შემუშავება და გამოქვეყნება ვებგვერდზე.
8. საჯარო კონსულტაციის პროცესის სტიმულირება საჯარო ადმინისტრაციული ორგანოების დავალდებულებით, რომ განათავსონ პოლიტიკის და საკანონმდებლო პროექტები ვებ-გვერდზე www.particip.gov.md, ინფორმაცია იმ პერიოდზე და საჯარო კონსულტაციების ფორმატზე.
9. ონლაინ პეტიციის პლატფორმის - www.petiti.gov.md შექმნა.
10. ღია მმართველობის მონაცემთა პორტალში - www.data.gov.md ყველა სამთავრობო მონაცემის ერთ ფანჯარაში გაერთიანების შემუშავება და საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახლა გამოყენების უზრუნველყოფა.
11. გეოსივრცით მონაცემთა პორტალზე (www.geoportal.md) საჯარო ორგანოების და მათ დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოების ადგილმდებარეობაზე ინფორმაციის განთავსება.
12. თითოეული საჯარო ორგანოს მიერ საჯარო სამთავრობო მონაცემთა კატალოგის შემუშავება, ყველა თავდაპირველი მონაცემის ტიპების მითითებით, რომელიც შეიძლება განთავსდეს პორტალზე - data.gov.md. კატალოგი განთავსდება კონკრეტული ორგანოს ვებ-გვერდზე.

13. ეროვნული სტანდარტების შექმნა მონაცემთა ციფრულ ფორმატში შეგროვება, შენახვა და გამოქვეყნებისთვის.
14. შესყიდვების მონაცემების ციფრული არქივის აპლიკაციების შემუშავება და გაშვება, იმისთვის, რომ გაიზარდოს ასეთი მონაცემებით სარგებლობის შესაძლებლობა.
15. უფროსი თანამდებობის პირების, მოსამართლეების, პროკურორების და სამოქალაქო მოხელეების შემოსავლებსა და ქონებაზე ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.
16. ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის შემუშავება, ინსტალაცია და გაშვება საჯარო თანამდებობის პირების შემოსავლის განცხადებების ონლაინ შევსებისთვის.
17. სოციალურ ქსელში აქტივობის ხელშეწყობა მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ეფექტური კომუნიკაციისთვის, მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობისთვის.
18. შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამართლებრივ ჩარჩოებში ელექტრონული შესყიდვებისთვის.

რაც შეეხება საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმას მასში შესული იყო შემდეგი ვალდებულებები:

1. მოქალაქის პორტალის განვითარების ვალდებულება,
2. საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება საქართველოში
3. რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციის გზით,
4. ციფრული ხელმოწერა და ონლაინავთენტიფიკაცია

ეს ვალდებულებები, რომ შევადაროთ გაეროს ელ-მმართველობის განვითარების და ელ-ჩართულობის ინდექსებს მივიღებთ შემდეგს: მოლდოვამ 2012-2013 წელს აიღო 18 ვალდებულება რომელიც ეხებოდა ელ-მმართველობას და ელ-ჩართულობას და აქედან შეასრულა 14 ხოლო გაეროს 2014 წლის რეიტინგში მოლდოვის რესპუბლიკის შედეგი ელ-მმართველობის განვითარების ინდექსში იყო 0.5571 ხოლო 2012 წლის ანგარიშში

0.5626 . ელ-ჩართულობის ინდექსში კი 2014 წელს მან 0.6275 ქულა აიღო, ხოლო 2016 წელს 0.6610.

რაც შეეხება საქართველოს მისი შედეგი 2014 წლის ანგარიშში იყო ელ-მმართველობის განვითარების ინდექსში იყო 0.6047 ხოლო 2016 წელს 6108, რაც შეეხება ელ-ჩართულობას აქ შესაბამისად, 0.5882 და 0.5593. პირდაპირი კავშირი არ სჩანს ელ-მმართველობის და ელ-ჩართულობის ინდექსებსა და ღია მმართველობის პარტნიორობის ვალდებულებებს შორის.

3.4 სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი:

სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა სამ რესპოდენტთან: ქალბატონი თეონა ტურაშვილი - ელექტრონული მმართველობის მიმართულების ხელმძღვანელი IDFI-ში, გორგი თოფურია - „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ უფროსი ანალიტიკოსი და ქეთევან ცანავა - იუსტიციის სამინისტრო.

პირველ კითხვაზე მოკლედ, რომ გვესაუბროთ ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ? სამივე რესპოდენტმა თითქმის იდენტური პასუხი გასცა: IDFI-ის წარმომადგენელმა გვითხრა: „როგორც იცით, ღია მმართველობის პარტნიორობა არის საერთაშორისო, ასე ვთქვათ, ინიციატივა, ერთგვარი ფორუმია სახელმწიფოების, სადაც ამ შემთხვევაში ქვეყნები თავისი ნებით გამოხატავენ მზაობას, რომ რაღაც გარკვეული რეფორმები გაატარონ ელექტრონული მმართველობის კუთხით, რადგანაც უფრო მეტად ღია გახადონ ასე ვთქვათ, მთავრობები უფრო მეტად ანგარიშვალდებულნი გახდნენ მოქალაქეების წინაშე. ეს უფრო მეტად ურთიერთ გაცვლის პლატფორმაა და უფრო ნებაყოფლობითი. ამ პროცესში, რათქმაუნდა, არასამთავრობო ორგანიზაციებიც მონაწილეობენ ერთ-ერთი არის მათ შორის IDFI-ც, მაგრამ მაინც მთავრობა იწყებს, ანუ ათავის თავზე იღებს ინიციატივებს. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ღია მმართველობის პარტნიორობა თავის ახალ ინიციატივებს ქმნის, თუმცა, ძირითადად, საქართველოს შემთხვევაში არის ისე, რომ საქართველო ისახავს ვალდებულებებს, რომელთა შესრულებასაც ისედაც აპირებს, მაგალითად საჯარო სამსახურის რეფორმა. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არის სახელმწიფოს პრესტიჟის საქმეც გარკვეულწილად, ვინაიდან, ამ გზით ის დემონსტრირებას ახდენს სხვადასხვა ქვეყნებს შორის, რამდენად კარგი რეფორმადაა ინიციატივა და ისახა ქვეყანამ მიზნად. ასეთი კონკურენცია მიდის ხოლმე ქვეყნებს შორის და ყოველწლიურად სახელდება საუკეთესო

„ინიციატორი ქვეყანა“ აქედან გამომდინარე ასეთი მოტივაცია მაინც აქვთ სახელმწიფოებს, რომ რაც უფრო ინოვაციური პროექტები ექნებათ, მით უფრო დიდი შანსი აქვთ, რომ ისინი დასახელდნენ ასეთ ქვეყანად.“

უფრო ისტორიულ კონტექსტში გაგვცა პასუხი „საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს“ წარმმადგენელმა: „ღია მმართველობის პარტნიორობა უკვე 5-6 წელია არსებობს, ბარაკ ობამას ინიციატივით დაარსდა თავდაპირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში. რამდენიმე წელიწადში საკმაოდ ფესვები გაიდგა სხვადასხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში სადაც ღიაობის, ღია მმართველობის ზოგადად გამჭირვალობის ხარისხები, ანგარიშვალდებულების ხარისხები დაბალია, ანუ განსაკუთრებით ჩვენს რეგიონში. თუ შევადარებთ მაგალითად, გერმანიას, საფრანგეთს ჰოლანდიას, დავინახავთ, რომ ამ ქვეყნებში ღია მმართველობა ასეთივე პოპულარული არ არის, განვითარების მაღალი მაჩვენებლის გამო.“

რაც შეეხება კითხვაზე -თქვენი აზრით როგორ სრულდება საქართველოში სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებები?რესპოდენტებმა შემდეგი პასუხი გასცეს: „ზოგადად, საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა თავდაპირველად იმით, რომ ამბიციური იყო ამ კუთხით და გარკვეული ინოვაციური სისტემებიც ამ კუთხითაც დანერგა - იუსტიციის სახლები, შეგემლო მისულიყავი და ერთი სივრცის ქვეშ ბევრი მომსახურებამიგელო.“ ასევე რესპოდენტმა აღნიშნა „მაგალითად რომ შეიქმნა data.gov.ge,პორტალი, სადაც წარმოდგენილია საჯარო ინსტიტუტების მიერ ატვირთული ინფორმაცია, რომელიც საჯარო უნდა იყოსგანსაზღვრული კოდექსით.“

რაც შეეხება მეორე რესპოდენტს, მან ამ კითხვას შემდეგი პასუხი გასცა: „საქართველომ საკმაოდ ბევრი ვალდებულება შეასრულა, ზოგი ნაწილობრივ იყო, ზოგი არა, მაგრამ ანგარიშში იყო ნაჩვენები, რომ ის ვალდებულებები უფრო მეტად არ შესრულდა, რომელიც მოქალაქეთა მონაწილეობას ეხებოდა. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ არის ვალდებულებები შეუსრულებელი რომელიც ჩვენთვის, როგორც არასამთავრობო სექტორისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო, რასაც ყველაზე მეტად გამოვყოფდი ეს არის ichange.ge და ინფორმაციის თავისუფლების კანონი,რაც გადავადა 2017 წლისთვის.“

კითხვაზე თუ რა ინფორმაციას ფლობდნენ გაეროს ანგარიშის შესახებ და მოკლედ თუ შეემლოთ საუბარი ამ ანგარიშზე, შემდეგი პასუხები მივიღეთ: „მაგაზე მხოლოდ ის

ვიცი, რომ ორი კომპონენტით ფასდება: ერთი არის e-governance ანუ ელექტრონული მმართველობის კუთხით და მეორე არის ჩართულობის კუთხით და რომ წლების განმავლობაში საკმაოდ გაუმჯობესებული პოზიციები არ გვქონია, რაც ბუნებრივია და ზოგადად, რაც კი ეხება e-governance-ს და e-participation-ს მთავრობა ყოველთვის ცდილობდა, რომ OGP-ის სამოქმედო გეგმაში გაეწერა ის, რაც ბუნებრივი იქნებოდა. პეტიციების და ფორუმების პლატფორმები არ შექმნილა, ბუნებრივია, ამან უარყოფითი შედეგი გამოიღო უშუალოდ გაეროს ანგარიშზე. მეორე რესპოდენტის პასუხი უფრო ვრცელი და ამომწურავი იყო: ანგარიშის გამოქვეყნებისთანავე, მისი ანალიზი გავაკეთეთ: მოკლედ რომ ვთქვა, მეთოდოლოგიურად აქ შედარებები გვაქვს მოკლე წინა წლებთან შედარებით, მაგრამ გაეროს წარმომადგენელთან გადავამოწმეთ და გვითხრეს, რომ ყოველწლიურად, უფრო სწორედ 2 წელიწადში ერთხელ აქვეყნებენ ისინი ამ ანგარიშს, მეთოდოლოგიას ცოტათი ცვლიან და შეიძლება წინა წლების მონაცემების შედარება მთლად არაზუსტი იყოს მაგრამ მაინც სურათს ასახავს. ანუ საქართველოს მდგომარეობას თუ შევხვედავთ, მოკლედ, 2010 წლიდან სიტუაციას, 2012-2014 წლებში იყო ყველაზე დიდი ნახტომი საქართველოსთვის, ანუ ამ დროს ყველაზე მეტად გაუმჯობესდა საქართველოს რეიტინგი, 2016 იყო ჯერჯერობით ერთადერთი წელი როდესაც უფრო სტაგნაციის სურათი ჩანდა აშკარად, და ელექტრონულ მონაწილეობაში ცოტათი გაუარესებული იყო მდგომარეობა. თუმცა ეს გაუარესება მთლად იმას არ ნიშნავს, რომ რაღაცა ცუდად წავიდა, გაუარესება უფრო იმას ნიშნავდა, რომ ამ შემთხვევაში, სხვა ქვეყნებმა უფრო მეტი გააკეთეს და საქართველო ამიტომ ჩამორჩა რეგიონულ ტენდენციებს. ეს ბალტიის ქვეყნები და ზერბაიჯანი იყო სხვათაშორის ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც წინა წლებში საქართველოზე უფრო უკან იყო და ახლა, როგორც ჩანს, მათ რაღაც უკეთესად გააკეთეს და ჩვენზე წინ წავიდნენ, ასევე ბელარუსი, რუსეთი და ყაზახეთი როგორც ელექტრონულ მმართველობაში, ასევე ელექტრონული მონაწილეობის კომპონენტებში ჩვენზე წინ იყვნენ. ზოგადად, საქართველოს შედეგები რომ გითხრათ, ელექტრონული მონაწილეობის კუთხით უფრო გაუარესებული სიტუაცია გვქონდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში არ არსებობს კარგად განვითარებული ელექტრონული სერვისები, რომლებიც მოქალაქეების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფენ და ichange.ge სწორედ ამ გამოწვევის გადასაღებად შეიძლება ჩავთვალოთ ანუ ეს ელექტრონული პეტიციები მნიშვნელოვნად წასწევს, სავარაუდოდ, მომავალ წლებში. თუ ეს დადგენილება ამოქმედდება და პორტალიც ჩაეშვება, სავარაუდოდ, უნდა ველოდოთ, რომ შემდეგი წლის მონაცემებში საქართველოს პოზიცია უფრო გაუმჯობესდება. რაც შეეხება ელექტრონულ მონაწილეობას, აქ, სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა, რომ აქვთ სამ კომპონენტად გაყოფილი: ონლაინ სერვისები, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება სადაც ერთ-ერთი არის ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა (და სხვათა შორის საქართველოს ამ რეგიონულ ჭრილში აქვს ძალიან დაბალი მაჩვენებელი) და მესამე იყო ადამიანური კაპიტალი, რაც გულისხმობს უფრო

განათლებას ანუ ამ შემთხვევაში იმას, თუ რამდენად შეუძლიათ მოქალაქეებს გამოიყენონ ინტერნეტი.

კითხვაზე გაეროს ანგარიშის შემდგენელი მკვლევარები რამდენად ითვალისწინებენ ღია მმართველობის ვალდებულებებს და ახდენს თუ არა ეს უკანასკნელი რამე გავლენას ანგარიშზე? ამავე რესპონდენტმა გვიპასუხა: გადავხედე მთლიან ანგარიშს და პირდაპირ ასე არ წერია, რომ მაგალითად OGP-ის ვალდებულებებს ისინი პირდაპირ არ უყურებენ, მაგრამ როდესაც OGP-ის ვალდებულებაში წერია ისეთი რამ, რაც ელექტრონულ მმართველობას ეხება, რათქმაუნდა მისი შსრულების შემთხვევაში ეს დადებითად იმოქმედებს ჩვენს რეიტინგზე. ამ შემთხვევაში უფრო ირიბი გავლენა გამოდის, იმიტომ, რომ OGP-ის ვალდებულებებში გადის სახელმწიფოს პოლიტიკები. აქედან გამომდინარე თუ ქვეყანას კარგი ინიციატივა ექნება, იმ რეიტინგშიც, სავარაუდოდ, უფრო წინ წავა. ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციები და წელანაც ის ვახსენე დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში ხაზგასმულია იმაზე რომ გადაწყვეტილების მიღების და ჩართულობის მექანიზმებში უფრო გვექონდა ნაკლები ვალდებულებები გვაქვს ამ მხრივ აღებული ოგპ-ში ისეთ სერვისების შექმნა რომ მოქალაქეები რომ ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ეს გარკვეულწილად აქაც არის ასახული იმიტომ რომ ელექტრონულ მონაწილეობაში ძალიან უფრო ქვევით ვართ მგონი მეათე ადგილი, მეათე ადგილზე ვართ რეგიონში (ფიქრობს) მაშინ როდესაც სხვა ანუ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რაღაცა პირდაპირი კავშირი გამოდის იმიტომ რომ ოგპშიც ასე ვქვათ ენჯეოების რეომენდაცია არის ის რომ გადაწყვეტილების მიღებაზე ორიენტირებული აპლიკაციებიც ჩაიდოს ვალდებულებები ავიღოთ ამაზე და ამ კვლევაშიც გამოჩნდა რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების ჩართულობა არის ჩვენი ერთ-ერთი გამოწვევა ხო ანუ რაღაცა არაპირდაპირი კავშირი აქედან შეგვიძლია დავინახოთ...

როგორც ინტერვიუდან ჩანს ირიბი კავშირი არსებობს ღია მმართველობის ვალდებულებებსა და ელ-მმართველობის და ელ-ჩართულობის ინდექსებს შორის.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენი ჰიპოთეზა ნაწილობრივ დადასტურდა, როგორც რესპოდენტებმა განაცხადეს გაეროს კვლევებში პირდაპირ არ არის მითითებული, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის ვალდებულებები ზრდის ან ამცირებს ინდექსებს მარგამ ირიბად ვალდებულებები მაინც ახდენენ გავლენას, რადგან ის პროექტები რაც ელ-მმართველობას თუ ელ-ჩართულობას უკავშირდება ხშირად სამოქმედო გეგმებში შედის და მისი შესრულება დადებითად აისახება რეიტინგში. რეკომენდაციებს რაც შეეხება მთავრობას სრულად უნდა შეასრულოს აღებული ვალდებულებები და განსაკუთრებით ისინი ელ-ჩართულობას რაც ეხება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლევან ავალიშვილი (2010) ელ-მმართველობა და ელ-გამჭირვალობა-საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო.
2. თინათინ ზურაბიშვილი. (2006) თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
3. ჯანეტ ბუტოლფ ჯონსონი, ჰ.ტ. რეინოლდსი, ჯეისონ დ. მაიკოფი., პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები. (2013) თბილისი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
4. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მონაცემთა გაცვლის სააგენტო. ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი. <http://e.gov.ge/guide/#p=1> ბოლო ნახვა 02/09/2018, 10:08
5. თეონა ტურაშვილი, საქართველო გაეროს ელექტრონული მმართველობის კვლევაში შედეგების მიმოხილვა და რეკომენდაციები. <https://idfi.ge/ge/georgia-in-the-un-e-governance-research-review-of-findings-and-recommendations> ბოლო ნახვა 02/09/2018, 10:08
6. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. თბილისი.
7. ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო. (2017) ღია მმართველობის პარტნიორობა, საქართველო. 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.
8. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. <http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/347> ბოლო ნახვა 02/09/2018, 10:08
9. karen layne. Jungwoo lee. (2001) Developing Fully functional E-government:A four satge model. p.122-136.
10. Tarmo Kalvet. (2009) Innovation: a factor explaining e-government success in Estonia. P. 1-16.
11. Saltanat janenova. E-government in Kazakhstan: challenges for a transitional country. P. 1-14.

12. David coursey and Donald f. Norris. (2008) models of e-government: are they correct? An empirical assessment. Pp. 523-536. Public administration review, vol 68, no. 3
13. Soonhee kim and donghwan kim. (2003) South Korean public officials perceptions of values, failure, and consequences of failure in e-government leadership. pp. 360-375. Public performance & management review vol.26 no 4.
14. Self-Assessment report on the Open Government Action plan for 2012-Semester I, 2013 by the Government of Moldova.
15. E-government center, <http://egov.md/en/projects/participgovmd> ბოლო ნახვა 02/09/2018, 10:08